საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 17 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

Библиотека

№ 211 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 211

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული,
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

შეხვედრა

გუშინწინ შეხვდენ ერთმანეთს ჩვენი მუშათა კლასი და ევროპის მუშათა წარმომადგენლები. გუშინწინ გადაიშალა გული მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობის. „ჩვენ არ ვიცით ერთმანეთის ენა, მაგრამ ჩვენ გვესმის ერთმანეთის ნალაპარაკევი, გვესმის აზრი და მისწრაფება“—სთქვა ნოე ჟორდანიამ მუშათა პარლამენტის სხდომაზე და ეს სიტყვები დამახასიათებელი იყო მთელი ამ დღეობის.

ჩვენ წინ გადაიშალა საუცხოვო, წარმტაცი სურათი მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის. ერთობა აზრის, მისწრაფების, ერთგვარი დაფასება და შეგნება ისტორიულ მდგომარეობის—აი რა გამოააშკარავა ამ შეხვედრის დღეებმა.

საქართველოს მუშათა წრეებმა იგრძნეს ევროპის შუქი, პირისპირ შეხვდენ ევროპის მუშათა კლასს მათი საუკეთესო წარმომადგენლების სახით: და ეს წაუშლელ კვალს დასტოვებს ჩვენს ხალხში.

შეხვედრა იყო საზეიმო, მაგრამ ის იყო გულითადი, მეგობრული, ნდობისა და ერთსულოვნებაზე დამყარებული. ხალხმა იგრძნო, რომ მოვიდა მისი თითქოს დიდიხნის ნაცნობი, ნანატრი, ნაოცნებავი მეგობარი და გული გადაუშალა. სრული ერთობა დამყარდა მოსულთა და დამხვდურთა შორის. ზეიმი გადაიქცა მეგობრობის ტკბილ მუსაიფათ. გაცხოველებული ორატორის მგრძნობიარე სიტყვა, უცხო ენით წარმოთქმულიც კი, გასაგები ხდებოდა, იზიდავდა, გულს უტოკებდა მაყურებელთ და სოციალიზმისადმი მოწოდება მქუხარე ტაშით ჯილდოვდებოდა.

უხილავი ძაფი—მუშათა საერთაშორისო კავშირის გამბმელი, დღეს თვალდასანახავი შექნა...

მაგრამ ეს იყო შეხვედრა მაინც საზეიმო, მან ბევრი დაგვანახვა, ბევრი დაგვიმტკიცა, მან გაარკვია სისწორე და სიმართლე იმ იდეების, რომელსაც მუშათა კლასი ემსახურება. დღეიდან კი დაიწყება საქმიანი თანამშრომლობა ძვირფას მეგობრებთან.

ჩვენ გადავუშლით მათ წინ არა მარტო გულს, არამედ მთელ ჩვენს ნამოქმედარს, მთელს ნამუშევარს, ავსა და კარგს, მოსაწონს და დასაწუნარს. ჩვენ არ მოვერიდებით სრული, შეუბღალავი სიმართლის თქმას, რადგან მათში ვხედავთ არა დიპლომატებს, არამედ თანამგრძნობელთ, რომელთაგან საქართველოს მუშათა კლასს საიდუმლო არა აქვს.

და ამ გაცნობის პროცესში ჩვენ ერთხელ კიდევ შევამოწმებთ ჩვენს აწმყოს იმ დიად იდეების მიხედვით, რომლითაც დღემდე ვსულდგმულობდით. ევროპის მუშათა კლასის გიგანტიური ბრძოლა იყო ჩვენი გზის მაჩვენებელი. ამ მოძრაობის აზრი და რწმენა გახდება დღეს ჩვენი გზის სისწორის შემმოწმებელი.

ჩვენ ღრმა რწმენა გვაქვს, რომ მრავალ შეცდომათა მიუხედავათ, საერთო გზა ჩვენი სწორია, სოციალისტურია, მომავალ ბედნიერებისკენ მიმავალია.

და გვრწამს, ჩვენი მეგობრებიც, რომელნიც დასავლეთ ევროპიდან გვესტუმრენ, ასეთივე აზრს შეადგენენ ჩვენზე ჩვენი ქვეყნის დეტალურათ გაცნობით.

მოვიდნენ

უკვე მოვიდნენ. მოვიდნენ ისინი, ვისი სახელებიც ჩვენ წინათაც გაგვეგონა, ვისი მოღვაწეობაც ჩვენ ასე გვიტაცებდა, გვმატებდა ენერგიას და ალმაფრენას. მათ ჩვენ დიდი ხანია ვიცნობდით, მაგრამ ვიცნობდით შორიდან, მოქმედებით, ნაწერებით. პირადათ არ გვენახა. გუშინ პირველათ შევხვდით მათ პირისპირ და თითქოს დიდი ხნის პირადი ნაცნობები და მეგობრები ვიყავით, დიდი ხანია არ გვენახა ერთმანეთი და აი ესეც არის დაბრუნდნენ, დაბრუნდნენ ამხანაგები, მეგობრები, კეთილისმყოფელნი. რამდენი თფილი გრძნობა, რამდენი ამხანაგური მოკითხვა და სალამი მოედო გუშინ თფილისს და მის არე-მარეს.

ბევრი უცხო სტუმარი გვინახავს ჩვენში, მაგრამ ის სულ სხვა იყო. ისინი ჩვენ არ გვაინტერესებდნენ. პირიქით, ჩვენ ვეინტერესებოდით იმათ. დღეს კი სხვაა. ესენი ჩვენც გვაინტერესებს და იმათაც ვაინტერესებთ. ამიტომ იყო რომ ასეთი მხიარულებით და სიხარულით შევხვდით მათ. მთელი დღე ეს სიხარული და მისი ციალი თავს ტრიალებდა თფილისის ქუჩებს. და გრილ ნიავს, ნიავს საამოს, ნაზი ფრთებით მიჰქონდა, არე-მარეს ევლებოდა, ატოკებდა, ახარებდა, უღვიძებდა იმედს, იმედს საუკეთესო მერმისას, როცა ტახტს დაიდგამს მეუფება შრომისა და მის ბრწყინვალე კალთის ქვეშ თავს მოიყრიან მთელი ქვეყნის მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი.

ეს დრო ხომ არც ისე შორსაა... უკვე ისმის ხმა გლოვისა იმ ბანაკში, რომლის სამარეს მსოფლიო პროლეტარიატი ასე ერთგულათ და თანდათანობით აღრმავებს ამდენი ხნის განმავლობაში.

დაჰკრავს საათი, საათი განთიადისა და ამოგორებული მზე განთავისუფლებული შრომისა გაანათებს ქვეყანას ბნელსა და უკუღმართსა. ამის თავდებია ყოველივე ის, რაც მოხდა გუშინ, ამის თავდებია ის იდეა, რომლის შარავანდედმა შემოსა გუშინ მუშათა უბნები და რომლის გვირგვინს ქვეშ დაამწკრივა ჩვენი და ევროპის მუშათა კლასი..

განი.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

ბათომში

ბათომი. 14 სექტ. ათის ნახევარზე ევროპის სოციალისტების წარმომადგენლები მიიპატიჟა ბათომის ქალაქის თვითმართველობამ, სადაც გაიმართა საგანგებო სადღესასწაულო სხდომა. ხმოსნებით სავსეა დარბაზი. დიდძალი ხალხი აწყდება თვითმართველობას. ორსართულიანი სახლი მოქარგულია ყვავილებით და დროშებით. საბჭოს სხდომაზე სტუმრები შეჰყავთ მთავრობის, ცენტრალურ კომიტეტის და ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებს. სტუმრებში შუა ადგილს იკავებენ **ვანდერველდე, მაკდონალდი, შოუ** და **გიუსმანსი**. საზეიმო სხდომას ხსნის საბჭოს თავმჯდომარე **ონიფანტე რამიშვილი**, რომელიც საბჭოს სახელით სალამს უძღვნის სტუმრებს. პირველ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ცენტრალური კომიტეტის სახელით **ისიდორე რამიშვილი**, რომელიც ამბობს: საქართველოს სოციალ-დემოკრატია და მთელი ქართველი ხალხი აღფრთოვანებული გეგებებით. ორი წელიწადია საშინელ პირობებში გვიხდება სახელმწიფოს მესაჭეობა. ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ცოტა რამ მაინც გავაკეთეთ. მიირძანდით ძვირფასო სტუმრებო! ჩვენი ქვეყნის კარები თქვენთვის ღიაა. ჩაიხედეთ ყოველ კუნჭულში ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. გვითხარით გულახდილათ ყოველივე. თქვენს რჩევას მუდამ დიდ ანგარიშს გავუწევთ. ამის შემდეგ მთავრობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულად **კ. საბახტარიშვილმა**. მან სხვათა შორის სთქვა: ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ შემთხვევა გვეძლევა გაგაცნოთ საქართველოს დემოკრატიის აღმშენებლობითი მუშაობა. რა თქმა უნდა, ამ მუშაობაში შეცდომებსაც ნახავთ, ვინაიდან დესპოტიურ სახელმწიფოს ნანგრევებზე ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენება და მისი სოციალისტურ პრინციპებზე დამყარება ადვილი საქმე არ არის. საქართველოს დემოკრატიას კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიის სულიერი ჯანმრთელობა და ევროპის დემოკრატიასთან თანამშრომლობა საშვალებას მოგვცემს ავიცილოთ ყოველგვარი განსაცდელი და დავუახლოვდეთ ჩვენს საერთო იდეალს.

უკანასკნელ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ქალაქის მოურავი **გიზო ანჯაფარიძე**. ის, სხვათა შორის, ამბობს: ორი წლის წინად სწორედ ამ დარბაზში ოსმალეთის გამარჯვებულ იმპერიალიზმის წარმომადგენელს ენვერ-ფაშას ხვდებოდნენ. იმ ენვერ ფაშას, რომელიც დღეს მესამე ინტერნაციონალის ბურჯი გამხდარა. მაშინ აქ გაისმოდა საქართველოს სრული განადგურების მუქარა. დღეს ამავე დარბაზში სიხარულით და ზეიმით ვეგებებით ნამდვილ ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, ევროპის მუშათა კლასის ბელადებს. მისი წინადადებით საბჭომ დაადგინა: 1) მარინეს პროსპექტს ეწოდოს ინტერნაციონალის პროსპექტი, 2) დაინიშნოს სტიპენდიები ქალ. ვაჟთა გიმნაზიებში ღარიბ მოსწავლეებს პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარდგენით, 3) არჩეულ იქნან ყველა სტუმრები ბათომის საპატიო მოქალაქეებათ. დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებება წინადადებას.

ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქალაქის თავის სიტყვის შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ინგლისის მუშათა კლასის ბელადი **რამზეი მაკდონალდი**. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაკდონალდმა მქუხარე ხმით მეტად მგრძნობიარე სიტყვით მადლობა გადაუხადა ქალაქს ასეთი შეხვედრისათვის. მან, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ ვიცნობთ ძველ საქართველოს სიმამაცეს. ვიცით, თუ რა ბრძოლა გადახდა ქართველ ხალხს ამ ორი წლის განმავლობაში. ჩვენ მოვედით აქ არა მარტო ზეიმისათვის, არამედ — ყოველდღიურ ცხოვრების და მუშაობის გასაცნობათ და საქართველოს სინამდვილის შესასწავლად. ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც ვნახეთ თავისუფალი და დემოკრატიული, არის საქართველო. სამწუხაროდ, ჩვენთან რომ მოხვიდეთ, ასე ვერ მიგიღებთ. ჩვენ კიდევ დიდი ბრძოლა გვჭირდება. ჩვენ არა ვართ წარმომადგენლები კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმისა, არამედ მუშათა კლასისა და მისი სახელით მხურვალე მადლობას და სალამს გიძღვნით. მაკდონალდის სიტყვა განუსაზღვრელ აღფრთოვანებას იწვევს და გაისმის მხურვალე ტაში. ქალაქის თვითმართველობიდან სტუმრები მიდიან საგანგებოთ მორთულ ავტომობილებით მუშათა სასახლეში, სადაც თავი მოეყარა ბათომის პროლეტარიატს, მათ თავზე დაფრიალებდა ტყე წითელ დროშებისა. სასახლე მშვენივრად არის მორთული. სტუმრების დარბაზში შესვლას ორკესტრი ინტერნაციონალით ხვდება. ორკესტრთან ერთად ინტერნაციონალს იმღერიან: ვანდერველდე, შოუ, რენოდელი, მაკდონალდი და ყველა სტუმრები და პროფ. კავშირთა წევრები. სტუმრები გამოდიან საგანგებოთ მორთულ აივანზე და **აიოლოს** თავმჯდომარეობით იხსნება მიტინგი. თავმჯდომარე აცნობს სათითაოდ მიტინგს მაკდონალდს, შოუს, მ-სს სნოუდენს, ემილ ვანდერველდეს, გიუსმანს, დებრიუკეს, რენოდელს, მარკეს, ინგელსს.

მიტინგზე მოკლე სიტყვებს ამბობენ სოც. დემოკრ. ორგანიზაციის სახელით **გოგოლაძე**. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი **ნაკაიძე**, ს. ფედერალისტების **ქორქაშვილი**.

შემდეგ მეტად მგრძნობიარე სიტყვას ამბობს **ვანდერველდე**. მან სხვათა შორის, სთქვა: მე მახსოვს 1917 წელი, როცა პირველად შევხდი ქართველს. ეს იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე. მაშინ ჩვენ გავიგეთ ერთმანეთი. მე, დანგრეული, განადგურებული ბელგიის შვილმა ვიცი საქართველოს სულისკვეთება. მე აქ ვხედავ წითელ დროშას, მარა ეს არ არის ის წითელი დროშა, რომელიც ჩრდილოეთით ფრიალებს. იქ ის დამყარებულია მონობაზე, აქ კი, თავისუფალ ნებისყოფაზე. მე აღფრთოვანებული ვარ, როდესაც ვხედავ წითელ დროშას ეროვნულზე გადაჭდობილს. ეს არის უდიდესი გამარჯვება, რომელსაც ეღირსება დღეს რომელიმე ერი. როდესაც მე დილით გემიდან გამოვედი და გადავხედე საქართველოს მთებს, ხოლო შემდეგ წინ შეგვეგება ზღვა ხალხი წითელი დროშებით, სავსე სიხარულით, მე მაშინ ვიგრძენი იმ ოცნების სიახლოვე, რომელსაც ემსახურება საერთაშორისო მუშათა კლასი. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს არ არის სპექტაკლი და ბუტაფორია, არამედ—არის ხალხის გულიდან ამონახეთქი სიხარული და სიყვარული. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას!“ ასე დაასრულა სიტყვა ამხანაგმა ვანდერველდემ. სიტყვის გადათარგმნის შემდეგ ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა საერთო ვაშას და ტაშის ძახილში. ხალხიდან ქუჩაში ტრიბუნაზე ადის **ვლასა მგელაძე**, რომელიც მჭექარე ხმით მიმართავს სტუმრებს და უსურვებს სრულ აღდგენას და გამარჯვებას ომის მიერ დანგრეულ ინტერნაციონალს. სრულ 12 საათზე ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს და სტუმრები მიემგზავრებიან მატარებელში დასასვენებლათ. საღამოს დაათვალიერებენ ჩაქვის მიდამოებს და 10 საათზე მატარებელი გამოვა თფილისაკენ.

ინგლისის მუშათა წარმომადგენლები



ტომას შოუ

48 წლისაა. ათი წლისა ის შევიდა საქსოვ ქარხანაში. 11 წლის ის შეუერთდა მქსოველთა ტრედ-იუნიონს. 20 წლისა ის გახდა ამ ტრედ-იუნიონის კომიტეტის წევრი. 33 წლისა ის უკვე მქსოველთა ტრედ-იუნიონის მდივანია. დღეს ის არის მდივანი მქსოველთა ინტერნაციონალურ ტრედ იუნიონისა და ვიცე-პრეზიდენტი მთელ ინგლისის მქსოველთა ორგანიზაციისა.

ტომას შოუ არჩეულ იქნა პარლამენტის წევრათ 1918 წელს. თავმჯდომარეობდა წელს ჟენევის სოციალისტურ კონგრესს. დიდი ენერგიის ადამიანია. უდიდესი გავლენა აქვს ტრედ-იუნიონთა შორის. ის იყო ამას წინათ საბჭოთა რუსეთში, როგორც წევრი ინგლისის მუშათა დელეგაციისა.



რამზეი მაკდონალდი

დაიბადა შოტლანდიაში 1866 წელს. 1902 წელში ის არჩეულ იქნა ქალაქ ლონდონის საბჭოში, სადაც დიდ ენერგიულ მუშაობას ეწეოდა. 1900 წელს არჩეულ იქნა ინგლისის მუშათა პარტიის მდივნათ და 12 წლის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი პარტიის ყველა ორგანიზაციულ საქმეებში. სამი წლის განმავლობაში ის იყო თავმჯდომარე დამოუკიდებელ მუშათა პარტიის. სცემდა ჟურნალს „The socialist Review“. 1906 წელს არჩეული იყო პარლამენტში, სადაც თავმჯდომარეობდა მუშათა პარტიის ფრაქციას. ომის დროს ის ენერგიულად იცავდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის პოზიციას, თხოულობდა ომის შეწყვეტას და დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას. ასეთმა მისმა რადიკალურმა პოლიტიკამ მას დაუკარგა ადგილი პარლამენტში. 1918 წელს ის არ იქნა არჩეული პარლამენტში. მთელ დროს ახლა ის ანდომებს ლიტერატურულ და პროპაგანდისტურ მუშაობას. მას აქვს ბევრი ნაწერები. მაკდონალდი დიდი ცოდნის და ერუდიციის კაცია.

ეთელ სნოუდენი

მეუღლეა ცნობილ ინგლისელ სოციალისტის ფილიპ სნოუდენისა. იგი დაიბადა 1881 წელს. აქვს ბევრი ნაწერები სოციალიზმზე და ფემინიზმზე. ათი წლის განმავლობაში ის დადიოდა ამერიკაში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, მთელ ინგლისში, ევროპაში და აწყობდა მიტინგებს და ლექციებს, სადაც უმთავრესი საგანი ქალთა მოძრაობა იყო. ის წევრია ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტისა. წევრად იყო ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაციისა ბალშევიკურ რუსეთში. ამ უკანასკნელ დღეებში გამოვიდა მისი წიგნი: „ბალშევიკურ რუსეთში“.

ბათომიდან თფილისამდე

ბათომი 14 სექტ. ბათომიდან სტუმრები საგანგებო მატარებლით გაემგზავრენ ჩაქვის მიდამოების დასათვალიერებლათ სრულ 3 საათზე. აზიზიეს მოედნიდან დაიძრა თუ არა მატარებელი ირგვლივ გაისმა „ვაშა“ და ტაშის კვრა. მორთულ-მოკაზმული ბათომი, რომელიც გაზაფხულის ახლად აყვავილებულ თაიგულს წარმოადგენდა, კიდევ ერთ სალამს უძღვნიდა სტუმრებს, კიდევ ერთ აღტაცებულ ვაშას უგზავნიდა. ფანჯრებიდან გადასცქერიან სტუმრები ბათომს და ფერად მთების ძლიერ შთაბეჭდილებასთან ერთად მათ თან მიყვება სიხარული, აღტაცება და აღფრთოვანება ბათომის ქუჩებში სადღესასწაულოთ გამოშლილ ხალხისა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩაქვში ვიყავით. ისედაც ნაზ ბუნებას, შეზავებულს ზღვის საიდუმლო ფიქრთან კიდევ უფრო აძლიერებს საღამოს ნახევრად დანისლული ცა, რომელიც ეხვევა თავს ჩაქვის მრავალფეროვან მთის თხემებს. სადგურიდან სტუმრები ეტლებით მიემგზავრებიან ჩაქვის ჩაის პლანტაციებისაკენ, სადაც ათვალიერებენ წარმოებას და ეცნობიან ადგილობრივ მუშათა მდგომარეობას. განსაკუთრებით დაინტერესებულია მაკდონალდი, რომელიც ჩაის წარმოებას კარგათ იცნობს ცეილონიდან და ყოველ მანქანას გულდასმით ათვალიერებს. სტუმრები მოხიბლულია ბუნებით, მარა ბოტანიკური ბაღის დათვალიერება კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას, საიდანაც მთებთან ერთად მეორე მხრით მოსჩანს ზღვის დაუსრულებელი სივრცე. ჩაქვში მამულების მმართველობამ ჩაიზე მიიპატიჟა სტუმრები, სადაც **მ-სს სნოუდენმა** წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. მან სხვათა შორის სთქვა: „პირველათ ჩემს სიცოცხლეში მოვედი ისეთ ქვეყანაში, სადაც მთელი ხალხი გვხვდება სიხარულით და ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ევროპიელები და თქვენ აზიის მოსაზღვრე ქართველები ერთ გზაზე ვდგევართ. ამიერიდან ჩვენი კავშირი იქნება კიდევ უფრო ძლიერი და ბრძოლა სოციალიზმისათვის, რომელსაც თქვენ ევროპაზე უფრო ეტრფით, კიდევ უფრო შეთანხმებული. იგულვეთ მუდამ ჩვენში საქართველოს მუშათა კლასის ერთგული ამხანაგები და მისი იდეალების გულწრფელი დამცველებიო“.

საღამოს 6 საათზე ჩაქვიდან დაბრუნდა მატარებელი ბათომში და სტუმრები შეუდგენ ბათომის ზოგიერთ მიდამოების დათვალიერებას. ვახშამზე, რომელიც სტუმრებს გაუმართა ქალაქის თვითმართველობამ, სიტყვები წარმოსთქვეს რენოდელმა, სნოუდენმა, ანჯაფარიძემ და ისიდორე რამიშვილმა.

სრულ ათ საათზე სტუმრები ბათომიდან გამოემგზავრენ საგანგებო მატარებლით თფილისისკენ. სადგურზე აურებელი ხალხი აცილებს მათ. ისმის „ვაშა“ ტაშის კვრა და ხმები: „გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს!“

ბნელა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ზღვის ქარმა დაჰბერა. ყველაფერი ნისლში გაეხვია. სასწრაფო მატარებელი მოქრის ბათომიდან. დაღლილ-დაქანცული სტუმრები დასასვენებლათ ემზადებიან. აი აგერ სხედან ფრანგი დელეგატი მარკე და ინგლისელი მაკდონალდი. მთელი დღის შთაბეჭდილებაზე ლაპარაკობენ.

— ეს ხალხი დიდს იმედებს იძლევა,— ამბობს მარკე.

— იმედებს კი არ იძლევა, ეს ხალხი თვით იმედია,—უპასუხებს მაკდონალდი.

ჩაქვში ცნობას ვღებულობთ, რომ ქობულეთში დიდძალი ხალხია თავმოყრილი უთუოდ ითხოვენ მატარებლის გაჩერებასო. ბათომიდან ვფიქრობდით გაუჩერებლათ თფილისისკენ წასვლას, მარა მთელი გურია ფეხზე დამდგარა, ყოველი სადგური იტყობინება „ხალხი იცდის, აქ უთუოდ უნდა გაჩერდეთო“. ამას ვატყობინებთ სტუმრებს, რომელნიც თვითაც დაინტერესებული არიან ნახონ გურიის ხალხი, რომლის მოძრაობის შესახებ მათ ბევრი რამ სმენიათ.

ქობულეთში მატარებელი ნელა უახლოვდება სადგურს, მოისმის მუსიკის „ინტერნაციონალის“ ხმა და მას თან ყვება დაუსრულებელი ტაში. მატარებლიდან სიტყვას ამბობს **რენოდელი**. სტუმრებთან ამოდიან ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხუხუნაიშვილი, რუსიძე და ბარამიძე. უბრალო, სოფლელი მუშები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ სტუმრებზე.

საერთო აღტაცებაში და მუსიკის „ინტერნაციონალის“ ხმებში შორდება მატარებელი ქობულეთს, მარა ნატანები დაჟინებით ითხოვს მატარებლის გაჩერებას. აქაც ხალხი მოგროვებულია. დროშებით ჩამოსულან ოზურგეთიდან. ნელა, საერთო ტაშის ცემაში და „ვაშას“ ხმებში ვშორდებით ნატანებს.

ლანჩხუთ-სამტრედიამდე არაფერს მოველით, იქაც გვინდა შევატყობინოთ არ გაგვაჩერონ, ვინაიდან თფილისში ვგვიანდებით. მარა აი პატარა ჯუმათი, რომელიც შორიდან ცეცხლის ალით იყო მოდებული. სოფლებიდან ჩამოსულა ხალხი და ჩირაღდნებით ხელში ლამობენ მატარებლის გაჩერებას.

— გაუმარჯოს კაუცკის, გაუმარჯოს სოციალისტებს,—გაიძახის ვიღაც გლეხი, მარა მატარებელი ნელა შორდება ჯუმათს, სტუმრები მხოლოდ ფანჯრებიდან ესალმებიან ხალხს. შუა ღამე მოახლოვდა. კოკისპირული წვიმა და ქარი შავ სუდარით ფარავს არეს. სტუმრები ისვენებენ. ამის შემდეგ ჩვენც ვფიქრობთ არავინ დაგვხვდება.

მაგრამ აი სამტრედია. ღამის პირველ საათზე კოკისპირულ წვიმის ქვეშ ზღვა ხალხით გაჭედილია სადგური. სამხედრო ორკესტრი უკრავს „ინტერნაციონალს“ მიძინებული სტუმრები ზეზე დგებიან, ფანჯრებს ეხეთქებიან და თვალწინ გვეშლება წვიმის ქვეშ ქალი და ბავშვი, მუშა და გლეხი, ინტელიგენტი და უბრალო მოქალაქე. საერთო ტაშის გრიალი და აღტაცება აყრუებს სადგურს. აქაც ლაპარაკობს **რენოდელი**, მაგრამ მეტად მგრძნობიარე, აღტაცებულ სიტყვით. სამი წუთი და მატარებელი შორდება სადგურს.

ამ სანახაობამ ძალი დაუკარგა ძვირფას სტუმრებს. ზის ფანჯარასთან **მაკდონალდი** და თავის ჰალარაზე ხელმიდებული გასცქერის ყოვრალ ღამეში მიძინებულ არეს. ვინ იცის რას ფიქრობდა მაშინ დინჯი შოტლანდიელი, რომლის სახეს ღიმილი იშვიათად გადაეკვრება და, მუდამ ჩაფიქრებული, საქმიან გამომეტყველებით იცქირება, ხოლო როცა ლაპარაკობს, ფოლადის ზარივით აპობს არეს.

ჯერ კიდევ არ არის გათენებული, რომ მატარებელი ქართლის ატეხილ ჰალების სივრცეზე მოქროდა, ხოლო ქართლის გლეხები ამ დროს თავის სადგურზე შესახვედრათ ემზადებოდენ.

გრაკალში, ქსანში, ქარელში ყველგან ხალხია დროშებით და აღტაცებით აცილებენ მატარებელს, ხოლო გორში დიდძალი ხალხია დროშებით, სადაც მ. კლიმიაშვილი ხალხის სახელით მიესალმა სტუმრებს და ხონჩით მშვენივრათ მორთული ხილი მიუძღვნა. „დანგრეულმა გორმა სალამი გიძღვნათ და თავისი ოფლით მონაგარი მოგართვათო“.

სწრაფათ მოქრის მატარებელი თფილისისკენ. სტუმრები ერთ ვაგონში იყრიან თავს და შეხვედრის მოლოდინში საუბრობენ. უცქერი მათ, უსმენ ლაპარაკს და ელოდები, როცა პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს ევროპის მუშათა კლასის ბელადები საქართველოს მუშათა კლასის ხელმძღვანელებს. ბათომის და გზის შთაბეჭდილება ზრდის მოსალოდნელ შეხვედრის შთაბეჭდილებას, რასაც თვით გრძნობენ სტუმრები. ვანდერველდე, მაკდონალდი და ჰიუსმანსი ვაგონის კარებთან უცდიან მატარებლის გაჩერებას.

აი თფილისიც. სადგურზე ნელა ჩერდება მატარებელი. საგანგებოთ მორთული სადგური იპატიჟებს ძვირფას სტუმრებს.

ლ. რ.

თფილისში

წინა დღით.

ევროპის მუშათა კლასის ბელადების ბათომში ჩამოსვლა ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს.

განსაკუთრებულ სიცხოველეს იჩენენ მუშათა უბნები. ემზადებიან სტუმრების დასახვედრათ, ორგანიზაციები ცდილობენ წინასწარ ბილეთები მიიღონ სადგურის ბაქანზე გასასვლელათ, ქალაქი სადღესასწაულოთ ირთვება. საღამოდანვე მოსჩანან დროშები და ყვავილებით მოქარგული მუშათა სასახლე, სახალხო სახლი, დამფუძნებელი კრება, სადგური და სხვა.

საღამოს გაზეთებში არის აწერილი ბათომის შეხვედრა, ეს კიდევ უფრო ზრდის სიცხოველეს და მატებს მუშათა უბნებს სურვილს მთელი გრძნობით,

866

აშლილი გულით და წმინდა პროლეტარული აღტაცებით მიეგებონ ევროპის მუშათა კლასის პიონერებს.

15 სექ., დილით.

მზიანი დღეა, ცოტა ქარი ჰქრის. ჯერ კიდევ გარიჟრაჟისას ახმაურდენ მუშათა უბნები და დროშებით იწყეს დენა მუშათა სასახლისკენ, სადგურისკენ და დამფუძნებელი კრების წინ. მთელი ქალაქი მორთულია ყვავილებით, ტყე წითელი დროშებისა დაფრიალებს მუშათა ზღვა ხალხს. ერთი უბნიდან მუსიკის ინტერნაციონალის ხმა უთანხმდება მეორე უბნის მარსელიეზის სიმღერას და საერთო პროლეტარულ ალღუმს, მუშათა კლასის ძალთა მობილიზაციის თავს ახვევია რევოლუციონური სიმღერების და მუსიკის საერთო გამოძახილი, რომელიც ყველას ერთნაირათ, ყველას ერთი გრძნობით და გატაცებით ანზადებს ძვირფას სტუმრების შესახვედრათ.

სადგურზე. ირგვლივ ქუჩები სავსეა ხალხით, საკმარისია რამდენიმე წუთით გამორდნენ წესრიგის დამცველნი ამა თუ იმ ადგილს, რომ ხალხი გაჭედავს გზას, გასავლელი არსად არის. ყველას უნდა პირველმა შეხედოს სტუმრებს, გაიგონოს სიტყვა, დაესწროს ამ ისტორიულ დღეს, თავის სიცოცხლეში, რომ იშვიათად ნახავს მეორეს.

თვით სადგური სავაგზლოთ მორთულია. ბაქანზე შესანიშნავი წესრიგია. სადგურის დარბაზი, რომელიც მორთულია სოციალიზმის პიონერთა სურათებით და ყვავილებით, სავსეა სხვა და სხვა ორგანიზაციების და დაწესებულებათა წარმომადგენლებით.

პირველ რიგში დგას ნოე ჟორდანია. არ ვიცი ვის წარმომადგენლად დაგიხატოთ ის ბ-ნ. ის, ხომ მთავრობის თავმჯდომარეა, ცენტრალური კომიტეტის, მუშათა საბჭოს და სხვა, ის მთელი ერია მუშათა კლასთან ერთად, ის მოთავეა მოთავეთა და ხელმძღვანელი ხელმძღვანელთა, ამისთვის ის ყველას წარმოადგენს, ყველა კი მას აბარებს თავის ინტერესების დაცვას.

აქ არიან მთავრობის სხვა წევრები, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, ფრაქციათა წარმომადგენლები, სახალხო გვარდიის შტაბის წევრები, პროფესიონალურ კავშირების, ს.-დ. ცენტრალური კომიტეტის, სამარხნო კომიტეტების და ყველა, ყველა ორგანიზაციების, რომელნიც წარმოადგენენ მუშათა კლასს და ხალხს, დემოკრატიას და სახელმწიფოს.

ცხრა საათი ასრულდება. უნდა გამოჩნდეს მატარებელი. ლოდინის ფიალა ივსება, ხოლო ეჭვები ხალხით უფრო იჭედება. ავჭალიდან ცნობა მოდის, რომ მატარებელი გამოვიდა. რამდენიმე წუთი და სტუმრებიც ჩვენთან იქნებიან. ერთმანეთს უცქერიან შესახვედრათ მოსული წარმომადგენლები და ალბათ, ყველა ერთ რამეზე ფიქრობდა. წარსულზე... 15 წლის წარსულზე, რომელმელთა განმავლობაში ჩვენი ხალხი კითხულობდა მომავალ სტუმრების ნაწერებს და უსმენდა მათ ხმას. და ეხლა კი უნდა შეხვდეს ამათ პირისპირ, შორეულ ნაცნობობას ახლო ნაცნობობა დაუკავშიროს და ისე გადებული ხიდი კიდევ უფრო გაამაგროს, ლოზუნგს—„პროლეტარებო, მთელი ქვეყნისა შეერთდით“, ხორცი შეასხას.

ნელა შემოდის ყვავილებით და გირლიანდებით მორთული მატარებელი სადგურში და სტუმრებიც ჩნდებიან. დარბაზში მიუთმენლობაა. ერთი წუთი და ხელი-ხელს მისცემენ ევროპის მუშათა ბელადები და ჩვენი ხელმძღვანელები. კულტურით მოწყვე ევროპის მუშათა კლასის პიონერები აქ, ძველი აზიის გასაღებ კარებში უნდა შეხვდნენ ახალ მუშათა კლასის წითელ დროშებს, რომელმაც თავის იღვა ევროპის და აზიის გარდასავალზე კულტურის დაცვა და მეცნიერულ სოციალიზმის დროშით იბრძვის.

მატარებლიდან ჩამოდიან გვარჯალაძე, საბახტარაშვილი, ისიდორე რამიშვილი, რომელთაც მოჰყავთ ვანდერველდე, მაკდონალდი, გიუსმანსი, შოუ და სხვები. იგრიალა ტაშმა, მუსიკა უკრავს „ინტერნაციონალს“. ვანდერველდე ხელს ართმევს ჟორდანიას და ინტერნაციონალის ხმებზე ორივე ჩერდებიან. ორი მუხა, ერთი ბელგიის, პატარა ბელგიის, ევროპის კულტურის აკვანში აღზრდილი, ხოლო მეორე აზიის შესასვლელ კარებში დაბადებული და იმავე ევროპის კულტურით გათვითცნობიერებული, თავის მაცოცხლებელ ფოთლებით ფარავდნენ დარბაზში თავმოყრილ მუშათა რაზმების მოწინავე ხელმძღვანელებს. ორი ერთმანეთზე ძლიერი, მარა თანასწორი ამხანაგები, ერთი აზრით და მისწრაფებით გამსჭვალულნი ხელიხელ მაგრათ ჩაჭიდებულნი ამტკიცებდენ საქართველოს და ევროპის მუშათა კლასის ერთობას.

ნ. ჟორდანიამ ფრანგულ ენაზე შემდეგი სიტყვით მიმართა სტუმრებს:

„სხვადასხვა პოლიტიკურ, პროფესიონალურ, მუნიციპალურ და სახელმწიფო ორგანიზაციების გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიის (რომელთა წარმომადგენლები აქ არიან) სახელით მე თქვენ მოგესალმებით და მოგმართავთ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკაში.

„უპირველეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მოგიძღვნათ თქვენ ჩემი მხურვალე მადლობა და გამოვსთქვა ჩვენი ხალხის თქვენდამი მადლობის გრძნობა იმ დახმარებისა და მხარის დაჭერისათვის, რომელიც თქვენ აღმოგვიჩინეთ ლიუცერნში და ამსტერდამში, ჩვენი დამოუკიდებლობის და სუვერენობის აღიარებით.

ამ აქტმა გაგვამხნევა ჩვენ ჩვენსი არსებობისა და პოლიტიკურ, სოციალურ იდეალებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ თქვენი მოწაფეები ვართ. თქვენი სოციალური დოქტრინა ჩვენი დოქტრინაა, თქვენი პოლიტიკური ტაქტიკა არის ჩვენი ტაქტიკა. ჩვენ, ჩვენი მასწავლებლების—მარქსის, ენგელსის, კაუცკის, ჟორესის, ვანდერველდეს, კეიერ გარდის ერთგული მოსწავლეებით დავრჩით. ჩვენ ერთგული დავრჩით დასავლეთ-ევროპის სოციალიზმის.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ რუსეთის დემოკრატიის ისტორიული გზა, რომელმა დემოკრატიამაც აიღო კურსი აღმოსავლეთის სოციალიზმზე — ბოლშევიზმზე, სრულიად ეწინააღმდეგება საქართველოს ხალხის ისტორიულ გზას.

ჩვენ დავიხიეთ ჩვენს უკანასკნელ პოზიციაზე— ვაღიარეთ ჩვენი ნაციონალური დამოუკიდებლობა და შევქმენით დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო.

და აი, სამი წელიწადია, რაც ჩვენ ვმუშაობთ საქართველოში ჩვენი პოლიტიკური იდეალების რეალიზაციისათვის. საქართველო ბუნებრივი ხიდია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ჩვენ გვინდა, რომ ის (საქართველო) გადიქცეს პოლიტიკურ ხიდათაც, რომლითაც სოციალიზმი გავრცელდება დასავლეთიდან აღმოსავლეთში.

რასაკვირველია, ძალიან ძნელია სოციალიზმის გზით ძალა უფლების მიმართვა მაშინ, როცა ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნები გვახვევია გარს. ჩვენ, რასაკვირველია, შეცდომები დავუშვით, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვაჰრობდით ჩვენი პრინციპებით, ჩვენი სოციალისტური და დემოკრატიული სინდისით.

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ, რომელსაც თავის ხელში აქვს აღებული ძალა-უფლება, ტერორისა და სამოქალაქო ომის გარეშე, დემოკრატიული გზით შესძლო გაეტარებინა პოლიტიკური, აგრარული და სოციალური რეფორმები. ჩვენ მივდივართ ჩვენი საერთო მიზნის—სოციალიზმის განხორციელებამდე, წყნარად ბოლომდე იმ გზით, რომლითაც მივდივართ.

ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს შორის ვხედავთ ჩვენს მასწავლებლებს— ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, ჩვენს დიდებულ მეგობრებსა და ამხანაგებს.

გაგვასამართლეთ, მოდით, დაგვეხმარეთ, ჩვენ ვიწვდით თქვენ ხელს და გეუბნებით:

„გაუმარჯოს ინტერნაციონალს“.

ნ. ჟორდანიას სიტყვის შემდეგ მხურვალე სიტყვით ესალმება საქართველოს პროლეტარიატის ბელადებს ემილ ვანდერველდე. *)

გაუმარჯოს ვანდერველდეს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს!—ფარავს მქუხარე ტაში და გამოძახილი დარბაზს.

სტუმრების სათითაოდ გაცნობის შემდეგ ნ. ჟორდანიას მეთაურობით ყველანი გამოდიან დარბაზიდან და მიიმართებიან სავაგზლოთ გამზადებულ ავტომობილებისაკენ. გაღმო კარები და იგრიალა ხალხმა, მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს, წითელი დროშები, როგორც მოცისკროვნებული ვარსკვლავები დაფრიალებენ ხალხს თავს. საერთო ტაშსა და ვაშას ძახილში სტუმრები ავტომობილებით მიდიან დამფუძნებელ კრებაში. გზები გაჭედილია ხალხით, მთელი პროცესია მიეშურება სასახლისკენ. რუსთაველის პროსპექტი წარმოადგენს დროშების ტყით დაფარულ სივრცეს, ხოლო ყველა მუშათა ორგანიზაციები თავის დაწყობილ მებრძოლთა რაზმებით ნელა თავს იყრიან სასახლესთან, სადაც ნახევარ საათში ისე გაიჭედა ყველა ქუჩები, რომ გავლა შეუძლებელი იყო.

დამფუძნებელი კრების წევრები თავს იყრიან სასახლეში. სოციალისტ დეპუტატებს ამშვენებს წითელი ყვავილები. სასახლე მორთულია გირლიანდებით. სიმფონიური და სამხედრო ორკესტრები ასრულებენ ინტერნაციონალს, ქუჩა ზეიმობს, ქუჩა თავის შვილებს პროლეტარებს თავს უყრის და ალღუმს აწყობს, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გენერალური შტაბის წევრებს აჩვენოს თავისი ძალები, ერთხელ კიდევ მოახდინოს დემონსტრაცია იმ ძლიერებისა, რომელიც მას არა ერთხელ დაუმტკიცებია ფრონტებზე, თუ შინაურ ორგანიზაციულ მუშაობაში.

დამფუძნებელი კრებაში

საზეიმო სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე დარბაზი ყვავილებითაა მოქარგული. დეპუტატებს წითელი ნიშნები უმშვენებს გულს. მთავრობის მთელი შემადგენლობა თავის ალაგასაა.

მთელი დარბაზი დამსწრე საზოგადოებითაა გაჭედილი. ყველა მოუთმენლათ ელის ძვირფას სტუმრებს. სტუმრებიც გამოჩნდნენ და დაიკავეს დიპლომატიური ლოჟები. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და მხურვალე ტაშით ეგებება მათ.

კრებას ხსნის თავმჯდომარე შემდეგის სიტყვებით:

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო!

არა ჩვეულებრივ დღეებს განიცდის დღეს ჩვენი ხალხი და ეს განცდა დამფუძნებელი კრების დარბაზშიც უნდა შემოჭრილიყო. ამიტომაა, რომ თქვენმა პრეზიდიუმმა დღეს არა ჩვეულებრივი სხდომა შეჰკრიბა.

მოქალაქენო, მე მსურს ერთი მომენტი მოგაგონოთ ჩვენი ახლო წარსულიდან თქვენ გახსოვთ, როგორის თავგანწირვით იბრძოდა ჩვენი ხალხი უამრავ მტრების წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენს ქვეყანას გასრესას უპირებდნენ. სისხლისაგან იცლებოდა იარაღში ჩამჯდარი დემოკრატია საკუთარი ძალების ანაბრად მიტოვებული. დამხმარე, გამამხნევებელი მას არავინ ჰყავდა. ახლო იყო წუთი სასოწარკვეთილებისა, მაგრამ გაისმა მედგარი და ფრიად ავტორიტეტული ხმა ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცველად, ჩვენი ხალხიც წელში გასწორდა, გაასკეცებული ენერგიით განაგრძო ბრძოლა და გამარჯვებაც მას დარჩა.

ვისი იყო ეს ხმა, ვინ იყო ის, ვინც ჩვენი თავისუფლების გადარჩენის საქმე საკუთარ საქმედ მიიჩნია?

ეს იყო ხმა სოციალისტური ევროპისა, ესენი იყვნენ ევროპის სოციალისტური პარტიები.

ბერნში, ამსტერდამში, ლიუცერნში—ევროპის სოციალისტთა კრებების დადგენილებებში საქართველოს სუვერენობის დაცვის საქმე საერთაშორისო მუშათა კლასის მორიგ საქმედ აღიარეს.

დიდი იყო ეს დახმარება ჩვენთვის. უდიდესი გავლენა იქონია მათმა ხმამ ჩვენთვის.

მაგრამ სოციალისტური ევროპა ამას არ დასჯერდა, ის მიხვდა ჩვენი დემოკრატიის სულისკვეთებას და რომ უფრო გაგვეძლიერონ და ნებისყოფა გაგვიკაჟონ, ევროპის მუშათა კლასმა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები გვეწვია.

დღეს ისინი აქ ბრძანდებიან, მოქალაქენო, ჩვენი სხდომის სტუმრები არიან და ესაა მიზეზი დღევანდელი საზეიმო კრებისა.

აქ არიან დიდი ბრიტანეთის ძლიერი მუშათა კლასის წარმომადგენელნი ბ. ბ. მაკდონალდი, შოუ და სნოუდენის ასული, აქ არიან თავისუფლების აკვანის საფრანგეთის მუშათა კლასის წარმომადგენელნი ბ. ბ. რენოდელი, ინგელსი და მარკე, აქ არიან გმირული ბელგიის მუშათა კლასის წარმომადგენელნი ბ. ბ. ვანდერველდე, ჰუისმანსი. გულითადი ძმური სალამი ძვირფას სტუმრებს. მივესალმით მათი სახით ევროპის დემოკრატიას (მხურვალე ტაში. დეპუტატები ფეხზე სდგებიან და ოვაციებს უმართავენ სტუმრებს).

მე მსურს, მოქალაქენო—და დარწმუნებული ვარ ეს საერთო სურვილია მთელი დამფუძნებელი კრებისა—ჩვენმა პატივცემულმა სტუმრებმა შემდეგი გაიგონონ დღეს ამ მაღალი ტრიბუნიდან:

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა ურყევი ნებისყოფაა მთელი ჩვენი ერისა.

1918 წ. 26 მაისის აღმოფხვრას ჩვენი დემოკრატიის გულიდან მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ ჩვენს ხალხს ფიზიკურად მოსპობენ და მის საყვარელ სამშობლოს ნაპარტახევად აქცევენ.

დამოუკიდებლობას ჩვენი ხალხი იმიტომ აფასებს, მის დასაცავად სისხლს იმიტომ ღვრის, რომ მან იგი გაქრობისაგან იხსნა, მან ხელახლა გააღვიძა ოდესღაც ძლიერი, მაგრამ მუხანათი მტრების წყალობით მიმქრალი კერა ჩვენი კულტურული შემოქმედებისა, მანვე მისცა ჩვენს მუშათა კლასს საუკეთესო ნიადაგი და საშუალება საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად.

შავბნელითაა მოცული ჩვენი ხალხის ისტორიის დიდი მანძილი. აზიური დესპოტიზმით იყო ის გარშემორტყმული. შავი იმპერიალიზმის ბრჭყალებში იხრჩობოდა ის. მაგრამ მას მაღლა ეჭირა წმინდა დროშა თავისუფლებისთვის ბრძოლისა, მუდამ წინა პოზიცია ეჭირა მას ამ ბრძოლაში.

თითქოს ბოლო მოეღო ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. შავი იმპერიალიზმის ადგილი წითელმა იმპერიალიზმა დაიკავა. არც მისი ეშინია ჩვენს დემოკრატიას, არც შეშინებია და არც არასოდეს შეუშინდება.

ჩვენ ჩვენს თავს ვიცავთ, ჩვენი დემოკრატიის სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწა-წყალს ვერავის დავუთმობთ, ის აკვანი ჩვენი კულტურისა, ისაა საფუძველი, რაზედაც ჩვენს ბრწყინვალე მომავალს ვაშენებთ.

ბევრი რამ გავაკეთეთ ამ საერთო საშინელებისა და აოხრების დროს, მოვამაგრეთ კიდეც. მაგრამ ჯერ კიდევ ვერა ვართ საკმარისად მაგრები. უდიდეს შრომას ეწევა ჩვენი ხალხი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის, მაგრამ აუარებელი დაბრკოლებანი გვიდგება წინ. და ერთი ამათგანი ისაა, რომ დღემდე იურიდიულად არ ვუცნივართ. ეს იციან ჩვენმა სტუმრებმა, მაგრამ მე მსურს ამ ტრიბუნიდან აღინიშნოს ეს და გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენი იურიდიულად ცნობა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხისა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები.

ერთი გარემოებაც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს. ამ რამდენიმე დღის წინად პრესამ ვაშინგტონიდან მოსული ცნობა გაავრცელა—ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის ძველს, რევოლუციის წინა საზღვრებში აღდგენას უჭერენ მხარსაო. თუ ეს დიპლომატიური ენის წანაცდენი, ლაპსუსი არაა, მოქალაქენო, თუ ასეთია, მართლა, აზრი ჩრდილო-ამერიკისა, უნდა საქვეყნოთ განვაცხადოთ, რომ ეს დაცინვა, უდიდესი შეურაცხყოფაა მთელი საქართველოსი. დეე იცოდეს ყველამ, და უპირველეს ყოვლისა მთელმა საერთაშორისო დემოკრატიამ, მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება, რომ დემოკრატიული საქართველო თავის ღირსების ახდის ნებას, სანამ ცოცხალი იქნება, არავის არ მისცემს. (ტაში).

მოქალაქენო! ევროპის მუშათა კლასი დიდს ძალას წარმოადგენს. ამ ძლიერი მუშათა კლასის დახმარებას მოითხოვს პატარა საქართველოს მცირერიცხოვანი, მაგრამ სულითა და შეგნებით მტკიცე მუშათა კლასი, რომლის დემოკრატიული შემოქმედებითი მუშაობა საერთაშორისო დემოკრატიის საერთო საქმეა.

დიდი იყო წარსულში თქვენი დახმარება, ძვირფასო მეგობრებო, გვწამს რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს დაგვეხმარებით. ჩვენზე მეტი გამოცდილება გაქვთ, გაგვიცანით, შეგვასწავლეთ, განგვისაჯეთ, პირდაპირ გვითხარით, რა არის ცუდი ჩვენს საქმიანობაში, რა არის კარგი, საერთაშორისო დემოკრატიის საქმის გაკეთებაში, გწამდეთ, საქართველოს დემოკრატია თავის როლს პირნათლად შეასრულებს.

მე ვფიქრობ, მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო, რომ მე თუმცალა მოკლედ, მაგრამ სიწრფოთ აღვნიშნე ის მთავარი რამ, რაც მთავარი საზრუნავი საქმეა დღეს ჩვენი ხალხისა და მისი დამფუძნებელი კრებისა. დამეთანხმებით, რომ ჩვენ მოვიპოვებთ უფლება მოვიხვეჭთ მეგობრული და სამართლიანი დახმარება ამ საქმეში.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ძვირფასი სტუმრები, ეს სახელოვანი ბელადები სოციალისტური ევროპისა ჩვენთან იყვნენ და ჩვენთანვე იქნებიან ერთად ჟენევაშიაც და ლონდონშიც.

გულწრფელი მადლობა მათ ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაში დახმარებისათვის.

კეთილი იყოს მათი მობრძანება ჩვენში (ტაში და ოვაციები).

ღრმა რწმენა გამოვსთქვათ, რომ ჩვენს სტუმრებს არასოდეს დაავიწყდებათ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო და მისი ხალხის თავგანწირული ბრძოლა საკაცობრიო იდეალებისათვის. (მხურვალე ტაში).

ამის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. მათ სიტყვებს ხვალ დავბეჭდავთ.

მიტინგები

დილის 11½ საათზე აუარებელი ხალხი მოგროვდა დამფუძნებელი კრების წინ. მუშათა სასახლიდან „ჩრდილოეთის ნომრებამდე“—შეუძლებელია ადამიანმა გაიაროს. არამც თუ ძნელია გავლა, ადგილზე განძრევაც კი არ შეიძლება. და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხი საოცარის სიმშვიდით ითმენს სიცხეს, სივიწროვეს და სულ განაბული მოელის ძვირფასი სტუმრების დამფუძნებელ კრებიდან გამოსვლას.

12 საათია ხალხი მოწრაფულ შეინძრა. მოისმის ტაში, ვაშას ძახილი, ხმაურობა, ჩოჩქოლი თანდათან იზრდება და ზღვა ხალხის ტაშმა მოიცვა მთელი არემარე.

ტრიბუნა სამ ალაგასაა მოწყობილი. თავმჯდომარეობს სილიბისტრო ჯიბლაძე, მას ეხმარებიან ი. გიორგაძე და ა. ხელაძე.

გამოჩნდა თუ არა ტრიბუნაზე სილიბისტრო ჯიბლაძე, ხალხი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. მას თან ახლავს ინგლისის წარმომადგენელი ტ. შოუ. მიტინგს ხსნის ამხ. ჯიბლაძე, რომელიც ამბობს: ამხანაგებო! ერთხელ კიდევ, მე ბედნიერ ბერიკაცს, ბედნიერ მოხუცს, მონობაში შობილს და მონობაში გაზრდილს, დაჩაგრულს და დაუძლურებულს, ბედნიერება მეძლევა გავხსნა ეს დიდებული დღე.

ეს თვალწარმტაცი სურათი, ეს აღფრთოვანება ადასტურებს ამ დღესასწაულის სიდიადეს. ჩვენ ბევრი დიდი დღეები გვაქვს, მაგრამ არც ერთი დღესასწაული არ შეედრება 12 მარტისას, როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ თვითმპყრობელობის დამხობას. მას შემდეგ კი ასეთი აღფრთოვანება არ განუცდია ჩვენს ხალხს. რაშია საქმე? ევროპიდან, საიდაც ამოდის მზე სოციალიზმისა, ამ ქვეყნიდან გვესტუმრნენ ჩვენ ძვირფასი სტუმრები, ბელადები საერთაშორისო დემოკრატიისა. ჩვენ აქ გვესტუმრა ერთი ერთი მოყვარე პატარა ერებისა ყველა დაჩაგრულებისა. ჩვენი ძვირფასო სტუმრებო, ბელადებო საერთაშორისო პროლეტარიატისა, საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგესალმებით თქვენ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ჩვენი ორი წლის ნატვრა სინამდვილეთ იქცა. ჩვენი სურვილი და გულითადი თხოვნაა ჩაიხედოთ ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულში, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყველა ადგილები დაათვალიეროთ და შეცდომებზე მიგვითითოთ, რაც თქვენი დახმარებით გასწორებული იქნება. საქართველოს სოციალდემოკრატია თქვენი დახმარებით ენერგიულათ განაგრძობს აღმშენებლობით მუშაობას, დარწმუნებული იმაში, რომ ის მარტო არ არის, რომ მასთან არის ძლევამოსილი მოძრაობა მოკავშირეებისა, დარწმუნებული იმაში, რომ ის მარტო არ არის სოციალიზმის განხორციელების გზაზე.

მოგესალმებით და სურვილს გამოვსთქვამ, რომ თქვენი მობრძანება უკანასკნელი არ ყოფილიყოს. (ტაში).

ტომას შოუ მიესალმება თფილისის დემოკრატიას ინგლისის პროლეტარიატის სახელით. მე მოვედი,—ამბობს ის, საქართველოში 6½ მილიონ ინგლისის პროფესიონალურ კავშირთა წევრების სახელით. მე ვიყავი რუსეთში და დავრწმუნდი, რომ რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელთ არ შეუძლიათ დემოკრატია მიიყვანონ სოციალიზმამდე.

„საქართველო არის ის კუთხე, რომელზედაც მიპყრობილია დღეს ევროპის ყურადღება და დარწმუნებული ვარ, რომ ის ხაზი, რომელიც დღეს უჭირავთ საქართველოს ხელმძღვანელთ, მთელი მიიყვანს საქართველოს მშრომელ კლასს საბოლოო მიზნამდე, სოციალიზმამდე.

„ჩვენ მოვედით აქ არა იმიტომ, რომ თქვენ გასწავლოთ რამე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვისწავლოთ თქვენგან. მე გაკვირვებული ვარ, თუ როგორ შესძელით შეგენარჩუნებინათ ასეთ დროს მთლიანობა. ინგლისში იყო განხეთქილება და იქ დიდხანს იყო ცდა მთლიანობის შესანარჩუნებლათ, მაგრამ დღეს იქ განხეთქილება არ არის და ინგლისის დემოკრატიის მიზანია დემოკრატიზმით სოციალიზმისკენ სიარული. ის იმედს გამოსთქვამს, რომ საქართველო გადაუხვევს ერთხელ აღებულ ამ გზას და ის მიღებული იქნება არა მარტო სახელმწიფოების წევრად, არამედ ხალხთა ლიგის კანონიერ წევრადაც. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები)

რამზეი მაკდონალდი ამბობს: მე ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ვილაპარაკო იმ ენაზე, რომელზედაც საქართველოში ლაპარაკობენ, მაგრამ არა უშავს რა, ჩვენი გული ერთნაირად სძგერს. მე გამიგონია, თუ როგორ ბრძოლას აწარმოებდით თქვენ ცარიზმის წინააღმდეგ, თუ როგორ შორეულ ქვეყნებში იხოცებოდენ თქვენი წარმომადგენლები. მე ბედნიერება განვიცადე, რომ თავს ვგრძნობ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მე ვხედავ, რომ თქვენ გიჭირავთ სახელმწიფო დროშასთან ერთად დროშა ინტერნაციონალური. ეს ნიშნავს, რომ თქვენ სახელმწიფოსთან ერთად თქვენ ზრუნავთ მთელი ქვეყნის ერების ბედნიერებაზედაც.

„გაუმარჯოს საქართველოს!“

„გაუმარჯოს ინტერნაციონალს!“ (ხანგრძლივი ტაში).

საფრანგეთის წარმომადგენელი ინგელს ამბობს: მე ამ ორი დღის განმავლობაში ვნახე ერთი რამ: ეს არის საქართველოს ხალხის განათლებულობა. არსად არ არის ერი, რომ ასეთი განათლებული იყოს. საქართველოს დემოკრატიამ ასეთ კატასტროფის დროს შესძლო შეესრულებინა დიდი აქტი; მან შესძლო შეეკავშირებინა საქარ. პროფეს. კავშირები, რომ ამ გზით დემოკრატია დაუახლოვოს სოციალიზმს. საქართველო არის ის წერტილი, რომელზედაც მიქცეულია მთელი ევროპის მუშათა კლასის ყურადღება. საქართველოს დემოკრატიამ უკვე მოახდინა სოციალიზმის ერთი ნაწილი. არის მიმართულება, რომელიც ფიქრობს რაც შეიძლება ადრე განახორციელოს სოციალიზმი, მაგრამ ისინი მალე დარწმუნდებიან, რომ სცდებიან. საქართველოში აღებული გზა ერთად ერთი გზაა, რომელიც მუშათა კლასს მიიყვანს გამარჯვებამდე. ევროპაშიც იზრდება ასეთი მოძრაობა და რაც მეტი სოციალისტები მოიპოვებენ პარლამენტში ადგილს, იმდენათ მეტად დაუახლოვდებიან მუშები სოციალიზმს. ჩვენ დღეს თვალყურს ვადევნებთ საქართველოს დემოკრატიის მოქმედებას, რომ შემდეგ, როცა დადგება დრო, ჩვენც შევძლოთ ვისარგებლოთ ამ გზით.

„გაუმარჯოს სოციალიზმს“, „გაუმარჯოს საქართველოს“.

ამათ შემდეგ ლაპარაკობს ინგლისის პროფესიონალურ კავშირებისა და ქალთა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ქალი **სნოუდენი**. ის სიხარულს გამოსთქვამს, რომ არის ისეთ გასაკვირველი ხალხთა შორის, როგორიც არის ქართველი ხალხი. თქვენ მოიმოქმედეთ ამბობს ის, თქვენ შესძელით შეგექმნათ ის, რაც არც ერთ ერს, არც ერთ ხალხს არ გაუკეთებია. ორი დღეა, რაც მე თქვენ დაგინახეთ და უნდა გითხრათ, რომ თქვენ მომწონხართ, მე მომწონხართ იმიტომ, რომ თქვენ, იმ ხალხს რომელიც ახლო ხართ ტერორის ქვეყანასთან, გადაგიწყვეტიათ სიკვდილამდე ებრძოლოთ მათ და არ შემოუშვათ თქვენს ქვეყანაში. მე მოვედი აქ, რომ გაგიცნოთ თქვენ და ვისწავლო რამე თქვენგან.

ორატორი უერთებს რა თავის აზრს წინა მოლაპარაკეებისას, უსურვებს საქართველოს დემოკრატიის დღეგრძელობას. (ხანგრძლივი ტაში და ვაშას ძახილი ფარავს არე მარეს).

ორატორებს ხშირათ აწყვეტინებდნენ სიტყვებს.

დასასრულ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„მრავალრიცხოვანი მიტინგი თფილისის მუშებისა მხურვალეთ მიესალმება დასავლეთ ევროპის მუშათა წარმომადგენლებს, ინტერნაციონალის გამობრძმედილ ბელადებს და გამოსთქვამს იმედს, რომ ამიერიდან საქართველოს პროლეტარიატის და დასავლეთ მოძმეთა შორის დამყარდება უფრო მჭიდრო კავშირი, ჭირში და ლხინში განუყოფელი და ხელი ხელ ჩაკიდებული ევლიან გზას საერთო ძალღონით გაკაფავენ.

დასრულდა მიტინგი. კვლავ გაისმის ტაშის გრიალი, ვაშას ძახილი და ეს გაგრძელდა, სანამ ძვირფასი სტუმრები ხალხს არ განშორდნენ.

მეორე და მესამე ტრიბუნაზე ილაპარაკეს დე ბრუკერმა და რენოდელმა, რომელთა სიტყვები შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული.

სახალხო სახლში

საღამოს 5 საათზე ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით სახალხო სახლში შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭოს, პროფესიონალურ კავშირების გამგეობების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მრავალ რიცხოვანი სხდომა. აქ თფილისის პროლეტარიატი შეხვდა ევროპის სოციალისტურ დელეგაციას.

სახალხო სახლი შიგნით და გარეთ ყვავილებით იყო მორთული. სცენაზე ევროპის და საქართველოს პროლეტარიატის ბელადების სურათები შემკული იყო ყვავილ-ვარდებით.

პრეზიდიუმის და სტუმრების მაგიდა შემკულია ცოცხალი ყვავილებით. დარბაზი ხალხითაა გაჭედილი აუარებელი ხალხი მოგროვილა ქუჩაზე, ყველა სცდილობს სახალხო სახლში შესვლას. მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების თანხლებით დარბაზში შემოდიან ძვირფასი სტუმრები. ყველა ფეხზე დგებიან და ტაშის კვრით ეგებებიან მათ. ისმის ინტერნაციონალის სიმღერა.

სხდომას ხსნის ნ. ჟორდანია, რომელსაც დამსწრენი ოვაციებს უმართავს. ის სხდომის სახელით ესალმება სტუმრებს, რის შემდეგ დელეგაციის წევრების პიროვნებას სათითაოდ აცნობს სხდომას.

შემდეგ ლაპარაკობს ემილ ვანდერველდე. მის გამოსვლას დიდი აღტაცებით ეგებება საზოგადოება და სიტყვას აწყვეტინებენ.

შემდეგ ლაპარაკობენ: მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ქიაბრიშვილი, ვალ. ჯუღელი, ალ. დგებუაძე. პარტიების წარმომადგენელნი: კარაჯივი (დამ. სოც.-დემოკ.), ნალჩაჯიანი (დაშნაკ.), ანინი („ბუნდი“), თარხანოვი (სოც. რევ.), შალვა ნუცუბიძე (სოც-ფედ.)

დასასრულ სხდომამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„შეერთებული სხდომა მუშათა დეპუტატების საბჭოსი და პროფესიონალური კავშირების გამგეობათა ესალმება მებრძოლი ინტერნაციონალური მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელთ.

პროლეტარიატი საქართველოსა, რომელიც გარშემორტყმულია ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოებით, მეტად მძიმე პირობებში აშენებდა დემოკრატიულ და სოციალისტურ სახელმწიფოს და ამ მუშაობისას ის მისდევდა პირველი და მეორე ინტერნაციონალის მიერ გაკვალულ გზას—დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ.

საქართველოს პროლეტარიატი გამსჭვალულია ღრმა რწმენით, რომ ომით დანგრეული მსოფლიოს ხსნა მხოლოდ საერთაშორისო მუშათა კლასის საქმეა და იმედს გამოთქვამს, რომ ახლო მომავალში ამ ჟამად გათიშული პროლეტარიატი გაერთიანდება თავის ძველ, ბრძოლაში გამოცდილ მეთაურთა დროშის ქვეშ იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის საბოლოო აღმოსაფხვრელათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ.

საქართველოს პროლეტარიატი, მეთაური რესპუბლიკისა და მისი ენერგიული დამცველი, იმედს გამოთქვამს, რომ ინტერნაციონალური სოციალიზმის წარმომადგენლები ხმას აიმაღლებენ მებრძოლი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხან შავ, ხან კი წითელ სამოსელში გამოხვეული ემუქრება დემოკრატიულ და სოციალისტურ საქართველოს და მას გასრესას უქადის.

საქართველოს მუშათა კლასი ზეიმობს ინტერნაციონალის მესვეურთა ფეხის შემოდგმას ჩვენს რესპუბლიკაში და მხურვალე სალამს უძღვნის მებრძოლ საერთაშორისო სოციალისტურ პროლეტარიატს.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

სხდომა იხურება 9½ საათზე. სტუმრებს აცილებენ ტაშით და ინტერნაციონალის სიმღერით.

(სხდომის ვრცელი ანგარიში მოთავსებული იქნება ხვალინდელ ნომერში).

ბათომი. სექტ 14. კაუცკის მდივანს გოლდბერგს ჩვენი კორესპონდენტი კაუცკის ჯანმრთელობის შესახებ შეეკითხა. გოლდბერგმა უპასუხა: კარლ კაუცკი ჩამოვიდა რომსა და იქიდან გამოსვლის წინა დღეს სექტემბრის 1-ს თავი ცუდათ იგრძნო. ექიმების რჩევით ის იძულებული გახდა რომში დარჩენილიყო. რომიდან გამოვა 10 დღის შემდეგ და საქართველოში დიდი ხნით დარჩება.

---

[*] ე. ვანდერველდეს სიტყვას შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ, **რედ.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბოლშევიკების ცნობები

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. სექ. 15. კობრინის ჩრდილოეთით ბრძოლაა. კოველის რაიონში ჩვენი ჯარი ებრძვის მტრის იმ ნაწილს, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის გზატკეცილზე მოქმედებს. ვლადიმირ-ვოლინის რაიონში ჩვენი ჯარი ბრძოლას აწარმოებს (დამახინჯებულია). ჩვენმა ჯარმა ბრძოლით როგატინი აიღო და 250 ტყვე წამოიყვანა, ხელთ იგდო 1 ზარბაზანი, 7 ტყვიისმფრქვეველი და 200 თოფი. **ყირიმის ფრონტი**. ვერხნე-ტოკმაკის რაიონში ჩვენ მოიგერიეთ მტრის ძლიერი ნაწილი, რომელსაც ორი ჯავშნოსანი ეხმარებოდა.

სურსათი.

მოსკოვი. სექ. 15. (დასაწყისი არ მიგვიღია) საბჭოთა რუსეთის გამარჯვება დამოკიდებულია სასურსათო საქმეების მოწესრიგებაზე. კრიზისს იწვევს ის გარემოება, რომ პურის მოზიდვა ცენტრადან ვერ არის სასურველად მოწესრიგებული. მდგომარეობის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევინახავთ თავს მანამ, სანამ ციმბირიდან და კავკასიიდან მოვიტანდეთ პურს.

მილიერანი და ჯიოლიტი.

მილიერანმა და ჯიოლიტიმ ისაუბრეს და კმაყოფილება გამოსთქვეს იმის გამო, რომ საფრანგეთსა და იტალიის შორის სრული თანხმობა არსებობს.

რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება.

რომიდან იტყობინებიან, რომ საზავო მოლაპარაკებას პოლონეთთან თვით ჩიჩერინი უხელმძღვანელებსო.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

16 სექტემბერი.

ტრედ უნიონთა კონგრესზე.

ლონდონი. სექ. 10. (რადიო) ტრედ-უნიონთა კონგრესმა პრინციპიალურად მიიღო გადაწყვეტილება მუშათა გენერალური შტაბის დაარსების შესახებ. კამათის დროს ამ საკითხში არსებული დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოირკვა.

გაფიცულები და მექარხნეები.

რომი. სექ. 10. (რადიო) ქარხნის მეპატრონეები გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ, სანამ გაფიცულთა ხელში იქნება სამრეწველოებით

ბოლშევიკების დამარცხება სპარსეთში.

ლონდონი. სექ. 1. აჯანყებული სპარსელები და ბოლშევიკები ყაზვინის მახლობლად დამარცხდნენ.

საკუთარი ძალებით.

თეირანი. სექ. 1. სპარსეთის მთავრობამ გადასწყვიტა იბრძოლოს ბოლშევიკებს თავისი ძალებით. ინგლისელები ყაზვინში პასიურობას იჩენენ. სპარსეთის მთავრობამ ენზელში გაგზავნა სპარსელ ყაზახთა დივიზია 3,000 კაცისაგან შემდგარი და 1000 ჟანდარმი. ბოლშევიკების დამხმარე სპარსელთა რიცხვი რამოდენიმე ას კაცს არ აღემატება. სორაბაზში მთავრობის ჯარებმა აჯანყებულები გაანადგურა.

პრეზიდენტის არჩევნების წინ.

ნიუ-იორკი. პრეზიდენტის თანამდებობაზე დემოკრატთა კანდიდატმა კოკსმა წინასწარ საარჩევნო კრებაზე გამოაცხადა, რომ პრინციპიალურად ერთა ლიგის მომხრე ვარ და მხარს დავუჭერ, რომ ამ ლიგაში ამერიკამაც მიიღოს მონაწილეობა.

ახალი ომის წინააღმდეგ.

ლონდონი სექ. 3. მუშათა ორგანიზაციების კრებაზე ლონდონში გადასწყვიტეს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით წინააღმდეგობა გაუწიონ მოკავშირეების რუსეთთან ახალ ომის დაწყებას.

სპარსეთის რესპუბლიკა.

სტამბოლი. 6 სექ. აქ მიღებულ ცნობით სპარსეთის შახი უარს აცხადებს ტახტზე. სპარსეთი გამოცხადდება რესპუბლიკათ. სტამბოლში მყოფი სპარსეთის მისია აცხადებს, რომ ამ ამბის დამადასტურებელი ცნობა მას არ მიუღია.

პოლონეთის მუშათა მოწოდება.

ვარშავა. 5 სექ. გაზეთი „რაბოტნიკში“ გამოქვეყნებულია პოლონეთის მუშათა მოწოდება დასავლეთის პროლეტარიატისადმი, რომელმაც ომის საშინელების დროსაც შეინარჩუნა გულწრფელობა და პატიოსნება. მოწოდებაში სხვათა შორის აღნიშნულია: ბოლშევიკები წარმოადგენენ წითელ იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობენ დაამარცხონ ეგრეთ წოდებული განაპირა სახელმწიფოები, მათ შორის პოლონეთიც, და გახადონ ისინი თავის გუბერნიებათ. მოსკოვი ავიწროებს თავისუფალ ქვეყნებს—კავკასიის, უკრაინას, ლატვიას და ცდილობს გახადოს ისინი მოსკოვის კოლონიათ. მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ.

საქართველოში არჩეული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ცნობები.

16 სექტემბერი.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ამხ. კიროვი დანიშნულია რუსეთის საზავო დელეგაციის წევრად პოლონეთთან მოსალაპარაკებლათ და 17 სექტემბერს მიემგზავრება მოსკოვში, საიდანაც რიგაში გაემგზავრება. კავკასიამდე მას გააცილებს ამხ. ს. ქავთარაძე. რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის მოვალეობის ასრულება დაეკისრა წარმომადგენლობის მრჩეველს ამხ. ლ. ნ. სტარკს.

უცხოეთის მისიები აზერბეიჯანში.

ბაქო. 16 სექ. აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად იცნო იტალიის, საქართველოს და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლობანი საკონსულოები და ლატვის და სპარსეთის საკონსულოები.

შვეიცარიის საკონსულო საგენტო და ლატვიის და ჩეხო-სლოვაკიის ეროვნული საბჭოები ცნობილია როგორც საკონსულო ფუნქციების აღმასრულებელნი.

საქართველოს მუშათა დელეგაციის რუსეთში გაუშვებლობის მიზეზები.

საქართველოში არჩეულ ს. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიურო იუწყება: იმის მიზეზები, რომლის გამოც საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში არ შეეშვა საქართველოს დელეგაცია, შემდეგია:

1) ეს დელეგაცია არ არის საქართველოს მუშათა კლასის დელეგაცია, რადგან მასში სრულიათ არ არიან წარმოდგენილი მუშა კომუნისტები, რომელთა საქართველოს ბევრ პროფესიონალურ კავშირებში უმეტესი გავლენა აქვთ, ხოლო ზოგიერთში მნიშვნელოვან უმცირესობას შეადგენენ;

2) დელეგაციის წევრთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ მმართველი პარტიის—ქართველ მენშევიკების წარმომადგენელნი, დელეგაცია მიემგზავრება მთავრობის მიერ გაღებულ ხარჯზე. ყველა ამის და ბევრი სხვა გარემოების გამო ეს დელეგაცია ჩაითვლება არა როგორც მუშათა კლასის, არამედ როგორც **მთავრობის** დელეგაცია.

3) ვინაიდან საქართველოს მთავრობა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში გზავნის თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს—მოქალაქე მახარაძეს (საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წევრი»), საბჭოთა მთავრობა ზედმეტათ სთვლის მთავრობის მეორე დელეგაციის ყოფნას რუსეთში;

4) რაც შეეხება დელეგაციის მიზანს: რუსეთისთვის ცნობების მიწოდებას საქართველოს ნამდვილი მდგომარეობის შესახებ და პირიქით, საქართველოსთვის ცნობების მოწოდებას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ნამდვილ მდგომარეობის შესახებ—პირველს შეძლებს საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მოქ. მახარაძე, ხოლო მეორეს კი—შეადგენს საქართველოში რუსეთის წარმომადგენლობის მოვალეობას, რასაც მისი ბეჭდვითი ბიურო ასრულებს.

იტალიის ცნობები

ლიონი სექტ 16. მილიერანმა ოთხშაბათს ჟენევაში, საერთაშორისო შრომის ბიურო ინახულა.

ხალხთა ლიგის მდივანმა საერთაშორისო მუდმივ სასამართლოს პროექტი გამოაქვეყნა. თანახმად პროექტისა სასამართლოში 15 წევრი შევა.

ბოლშევიკების დელეგაცია რიგაში ჯერ არ ჩასულა. პოლონეთის დელეგაცია ყოველ საათში მოელიან.

ჩრდილოეთ დასავლეთით ვრანგელის სამხედრო მოქმედება კარგად ვითარდება.

სტამბოლი. სექტ. 14. ვრანგელის გენერ. შტაბის ცნობით პოლოგის მიდამოებში ბოლშევიკის მთელი ბრიგადა იქმნა წამოყვანილი ტყვედ.

ლონდონიდან იუწყებიან: ლოიდ ჯორჯმა განუცხადა კრასინს, რომ სავაჭრო დამოკიდებულებას რუსეთთან მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ ბოლშევიკები ინგლისში აგიტაციის წარმოებაზე უარს იტყვიან.

ახალი ამბები

დღეს, პარასკევს, 17 სექტემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია დამფუძნებელ კრების სოციალდემოკრატიული ფრაქციის საგანგებო სხდომა. ფრაქციის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ **მისალმებანი.** რედაქციას მოუვიდა მისალმებანი სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლის გამო: ქუთაისიდან—სოც. დემოკრატიული კომიტეტისაგან. ქსნიდან—სოც.-დემოკრატიულ კომიტეტისაგან. დიდი ჯიხაიშიდან—ს.-დ. კოლექტივისაგან.

◆ **დამფუძნებელი კრების სახელზე** მიღებულია შემდეგი დეპეშა: ბათომის ქალაქის საბჭო, შეკრებული პირველ საქმიან სხდომაზე მას შემდეგ, რაც ქალაქი სამშობლო მხარეს შეუერთდა, სიხარულის ღრმა გრძნობით მიესალმება საქართველოს დამფუძნებელ კრებას და იმედოვნებს, რომ იმუშავებს რა ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ, მხარში ამოუდგება უმაღლეს კანონმდებელ ორგანოს და ცხოვრებაში გაატარებს მის მიერ გამოცემულ კანონებს.

◆ **ქუთაისიდან** შინაგან საქმეთა სამინისტროში მილიციის უფროსს ახვლედიანისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: გუშინ 12 საათზე ნახშირის ღელეში შეტაკების შემდეგ მოკლული იქნენ ავაზაკი ხუჯაძე და დატუსაღებულია ლაბჩავა.

◆ **ქართულ მუსიკალურ სასწავლებელში.** (პეტრე-დიდის ქ. № 8) თხოვნების მიღება დაიწყება 16 სექტემბრიდან ყოველდღე 11—2 ს.

◆ **მისალმება მთავრობას.** მთავრობის თავმჯდომარეს სახელზე ნოქალაქევიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: 10 სექტემბერს პარასკევს სოფელ მარტვილში მრავალრიცხოვან მიტინგს მოხსენება გაუკეთა სვანეთიდან დაბრუნებულმა ამხანაგმა ვლასა მგელაძემ. მან კრებას გააცნო მომენტი და ხალხის სულიერი განწყობილება. კრება მოხსენებით მეტად კმაყოფილი დარჩა. უცხადებს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას ნდობას და აღუთქვამს ყოველნაირ დახმარებას.

◆ **ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო** გადავიდა ოლღას ქუჩაზე, ბელინსკის ქუჩის პირდაპირ შტაბის ქვეშ, ვერის მუშათა კლუბის შენობაში.

◆ **ფულის გაუჩენლობის გამო** დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები საჯავახოს „განათლება“.

მოქალაქენო!

გაცნობებთ, რომ აგვისტოდან დღემდის ხოლერით ავათ გახდა 54 კაცი. მათ შორის აგვისტოს განმავლობაში 26; სექტემბერში კი, დღემდის ე. ი. 10 დღის განმავლობაში 28.

მათგან გარდაიცვალა 23 კაცი. ცხადია, ხოლერა ფართოვდება და მისგან სიკვდილიანობაც დიდია. მოვაქცევ თქვენ ყურადღებას ამ გარემოებას და მოგიწოდებთ:

1) დაიცავით საერთო სისუფთავე თქვენს ბინებში;

2) არ დალიოთ გადაუდუღებელი წყალი;

3) დაიცავით საჭმელ სასმელი ბუზებისაგან;

4) ერიდეთ ხილს; ნამეტურ ყურძენსა და ლეღვს, რომელთა გასუფთავება შეუძლებელია;

5) აიცერით ხოლერის საწინააღმდეგოთ.

მხოლოდ ამით უზრუნველყოფთ თქვენს სიცოცხლეს.

ხოლერის საწინააღმდეგო აცრა სწარმოებს უფასოდ ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში (სალდათის ბაზარი) და კუკიის სამკურნალოში—(ანდრეევის და ჩერქეზოვის ქუჩ. კუთხე) 9—1 საათამდე.

„ნორ აშხატავორის“ საპასუხოდ

ამ ბოლო დროს ადგილობრივ სომხურ პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები იმ საკითხის გამო, რომელიც ეხება საქართველოში მცხოვრებ სომხეთა კულტურულ მოთხოვნილებებს საერთოდ და განსაკუთრებით სწავლა-აღზრდის საქმეს.

საქმეში ჩაუხედავი საზოგადოება და ხალხი მართლაც იფიქრებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უღირსად ეპყრობა სომხეთა ინტერესებს, ავიწროებს მას, აბუჩად იგდებს და ფეხქვეშა სთელავს მათ კულტურულ მოთხოვნილებებს.

მაგალითად, ნათქვამია, რომ „საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ სომხეთა **მთელ კულტურულ-განმანათლებელ საქმეს აწარმოებს** მხოლოდ სომხური ეროვნული საბჭო... (ხაზი ყველგან ჩვენია). ამის გასამართლად საბჭოს არა აქვს არავითარი წყარო გარდა ამისათვის შემოღებული სპეციალური გადასახადებისა. თავის თავად ცხადია, რომ ამ გზით საქმის წარმოება დიდხანს **შეუძლებელია და უსამართლო:** სომეხი მოქალაქე იძულებულია განათლების საქმისათვის გაიღოს ორნაირი გადასახადი—ერთი მთავრობისა და მეორე ეროვნული საბჭოს სასარგებლოდ“. (იხ. 31 აგვისტ. გაზ. „სლოვოს“ 197 №-ში დაბეჭდილი წერილი „ნორ აშხატავორიდან“). შემდეგ იქვე: „მთავრობის არაკეთილმეზობლური **განწყობილება** საქართველოს სომხების კულტურულ მოთხოვნილებათა მიმართ **უფრო ცხადია,** ვიდრე მრავალი სიკეთის აღმთქმელი წერილები ქართული პრესისა. სომხის მშრომელი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ ასეთის არა საკადრისი საშუალებით უპასუხოდ დებიან და უყურადღებოდ სტოვებენ მის კულტურულ-ნაციონალურ უფლებებს... ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მთავრობამ გარკვეულად სთქვას—გამოდის იგი სომხური სკოლების დამცველად, თუ ექნება მასთან აშკარა **მტრული განწყობილება**“.

ცხადია, ასეთი წერილების შემდეგ, სინამდვილის აღსადგენად და ყოვლად უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდება-საყვედურების თავიდან ასაცილებლად, შეუძლებელია გაჩუმება და ტენდენციურად გაშუქებული საკითხების უყურადღებოდ დატოვება.

რაშია საქმე? 1. „საქართველოს ფარგლებში მცხოვრებ სომხეთა მთელ კულტურულ განმანათლებელ საქმეს მხოლოდ სომხური ეროვნული საბჭო აწარმოებს“, ბრძანებს „ნორ აშხატავორი“. მაგრამ ეს პატეთიური განცხადება სიმართლეს არ შეეფერება. სომხურ ეროვნულ საბჭოს სხვაგვარ კულტურულ მოღვაწეობას რომ თავი დავანებოთ, რაც, რამდენადაც ცნობილია, დიდსა და მართლა ფართო ნამდვილს კულტურულს მუშაობაში არ გამოიხატება, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოთ სწავლა-აღზრდისა და კერძოთ კი წმინდა სასკოლო განათლების საქმეში მას დიდი ღვაწლი არ მიუძღვის. უმთავრესი ხარჯი და მზრუნველობა ამ საქმეში თვით სახელმწიფოს აქვს ნაკისრი, რისთვისაც მას, უმაღლეს დაწყებითსა და საშუალო სასწავლებელთა გარდა, 64 სომხური დაწყებითი სკოლა აქვს ოთხგანყოფილებიანი 4 წლის კურსით. ამ სკოლებში სწავლა სწარმოებს მშობლიურს სომხურს ენაზე სომეხ მასწავლებელთა საშუალებით და მთავრობის სომხურ სახალხო სკოლათა ინსპექტორის ხელმძღვანელობით. ეს რიცხვი გადიდებულ იქნება საერთოდ რესპუბლიკაში და კერძოთ მესხეთ ჯავახეთში (ახალციხე-ახალქალაქის მაზრა) განზრახულია ახალი სომხური სკოლების გახსნით და ძველის აღდგენით. გარდა ამისა საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლების განხორციელებაც მხოლოდ მეორე წლიწადია რაც დაიწყო და განზრახულია მისი დასრულება 1923—1924 წ. ცხადია, აქ სომხური ხალხისა და მოზარდი ახალგაზრდობის ინტერესების სრული უზრუნველყოფა არის ნაგულისხმევი.

თვით სომხურ ეროვნულ საბჭოს კი საქართველოს ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ 49—51 სკოლა. საქმე ის არის, რომ, სამინისტროს ცნობების მიხედვით, რომელთა შეკრებაც მან, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ბოლო დროს მოახერხა, სომხური ეროვნული საბჭოს სკოლები უმთავრესად წარმოადგენს ძველს, ყოფილ სომხურ სამრევლო სკოლებს, რომელთა ტიპი და სასწავლო გეგმა საერთოდ მიუღებლად უნდა ჩაითვალოს დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის. აღვნიშნავთ, მაგალითად, ერთს მეტად მნიშვნელოვანს გარემოებას.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და პარლამენტმა 1918 წ. 13 დეკემბერს გამოსცა სკოლების შესახებ განსაკუთრებული კანონი, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის **ყველა სკოლებში** გაუქმებულია სამღვთო სჯულის სწავლება. სომხურ სახალხო სკოლებში **კი სამღვთო სჯული გასული სასწავლო წლის განმავლობაშიაც ისწავლებოდა,** რაზედაც არა ერთხელ მიუთითებია სამინისტროს წარმომადგენელს სომხური ეროვნული საბჭოსათვის. ზემოდ აღნიშნული ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ კლერიკალური მიმართულება სომხ. სახალხო სკოლებში არ შეცვლილა.

აი ასეთი სკოლებისათვის აქვს სომხ. ეროვნულ საბჭოს განსაკუთრებული „სპეციალური გადასახადი დაწესებული“ და, მისივე სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ გზით საქმის წარმოება დიდხანს მართლაც შეუძლებელია და უსამართლო. რად აიძულებს საბჭო საქართველოს სომეხ მოქალაქეთ გაიღონ ასეთი „განათლების საქმისათვის“ შეუზომელი, ორმაგი გადასახადი? რესპუბლიკა თანაბრად ზრუნავს როგორც ქართული, ისე სომხური და სხვა ყველა ეროვნებათა სკოლებისათვის. და თუ სომხური ეროვნული საბჭო იკისრებს ამ მხრივ სიმპატიური თანამშრომლის როლს, ის ღირსი იქნება მხოლოდ წახალისების, ქებისა და დახმარების. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თანამშრომლის როლში ყოველთვის ვერ ჰხედავს მას განათლების სამინისტრო. ეს, სხვა რომ არა იყოს რა, იმ დამოკიდებულებიდან სჩანს, რომელიც გამოიხატება სასკოლო კანონებისადმი მოპყრობაში და იმ წერილების კილოსა და შინაარსში, რომელსაც ათავსებენ თავიანთ გაზეთებში.

II. „მთავრობა საბჭოს სკოლების დეფიციტების დასაფარავად სუბსიდიებზე უარს ეუბნებაო“, ბრძანებენ საბჭო და „აშხატავორი“.

ამ სუბსიდიების შესახებ ორი შუამდგომლობა იყო აღძრული: ერთი ამ წლის 9 ივლისიდან, სადაც საბჭო ორი მილიონი მანეთის დახმარებას ითხოულობდა, ხოლო მეორე შემოსულია სამინისტროში გასული თვის 16 აგვისტოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით. ამ შუამდგომლობაში აღნიშნულია მომავალი ე. ი. მიმდინარე სასწავლო წლისათვის საჭირო თანხა—14 798.300 მან., საიდანაც საბჭო კისრულობს მხოლოდ 6 მილიონ მანეთს, დანარჩენს 8.798.300 მანეთს კი ითხოვს განათლების სამინისტროსაგან.

ცხადია, ასეთი თანხის გაღება, ისიც სასწავლო წლის ბოლოს და ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისში, როცა ახალი წლის ხარჯთაღრიცხვა უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო, მთავრობაში გატარებული და ნაწილობრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული, სამინისტროს არ შეეძლო.

თუ როგორ ეპყრობა განათლების სამინისტრო სომხურ ეროვნული საბჭოების ასეთს შუამდგომლობას, ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგს:

მიმდინარე წლის მარტში აფხაზეთის სომხურმა ეროვნულმა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე იქაური იმ 27 სომხური სკოლის სახაზინო ხარჯზე მიღების შესახებ, რომელნიც მანამდე, როგორც საბჭოსა და საზოგადოებათა მიერ ახლად გახსნილი და ამიტომ სამინისტროს ცნობების გარეშე დარჩენილნი, არ იყვნენ შეტანილი რესპუბლიკის სკოლათა სიაში.

ამ დროს სამინისტროში მუშავდებოდა მომავალი (ე. ი. ახლანდელი) საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვა და ეს სომხური სკოლებიც იქმნა შეტანილი სახაზინო სკოლათა სიაში. რასაკვირველია, სახელმწიფო ხარჯზე სკოლების მიღება გულისხმობს, რომ დაცული იქმნას სასკოლო კანონები და არ მიეცემა ამ სკოლებს ისეთი უარყოფითი ხასიათი და მიმართულება, რომელიც ზევით იყო აღნიშნული.

ასეთია ამ სუბსიდიებისა და სომხური სკოლების მოვლა-შენახვის საქმის ნამდვილი ვითარება და ცხადია, მიუდგომელი მკითხველი და ფართო საზოგადოება ეჭვსაც ვერ შეიტანს მთავრობისა და სამინისტროს მოქმედებაში.

დაბალ სკოლათა მთავარი გამგე:
გ. ჰუმბურიძე.

სასოფლო-მეურნეობისათვის

(წერილი ქუთაისიდან).

მთავრობის დადგენილებით მომავალი სასწავლო 1920/1921 წლიდან ქუთაისში არსებული დაბალი სამეურნეო სასწავლებელი (ფერმის სკოლა) გადაკეთებულია საშუალო სასოფლო-მეურნეობის სასწავლებლად სამი განყოფილებით: 1) მემინდვრეობის, 2) მებაღეობის და 3) მესაქონლეობის, სადაც მიიღებიან ორივე სქესის მოსწავლენი 15—18 წლ., რომელთაც ექნებათ გათავებული უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი, ანუ ოთხკლასიანი პროგიმნაზია, მიიღებულ იქნებიან აგრეთვე გამოცდით ის პირნი, რომელთა ცოდნა შეეფერება აღნიშნულ კურს დამთავრებულ პირთა ცოდნას.

აღნიშნულ სასწავლებელს მიზნად აქვს დასახული მიაწოდოს მოწაფეებს მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ თეორიულ—პრაქტიკული ცოდნა სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგში, რომ ამ გზით მოამზადოს მოწაფეები სოფლის მეურნეობაში მოღვაწეობისათვის.

ამ სასწავლებელში სწავლის კურსი ოთხწლიანია და ამის მიხედვით იგი განაწყოფება ოთხ კლასად; ამათში პირველი მოსამზადებელია, მეორე და მესამე დანიშნულია სამეურნეო საგნების შესასწავლად სპეციალობის მიხედვით და მეოთხე—პრაქტიკული.

სასწავლებელში მოწაფეთათვის არსდება პანსიონი, სადაც მოწაფეთ დაეთმობათ უსასყიდლოდ ბინა, მოსამსახურე, განათება და გათბობა. კურსის დამთავრების შემდეგ პანსიონერები ვალდებულნი არიან იმსახურონ მიწად-მოქმედების სამინისტროს (ამ სამინისტროს უწყებაში იმყოფება ეს სასწავლებელი) დაწესებულებაში მათ სპეციალურ შესაფერ თანამდებობაში იმდენი ხანი, რამ-

ჟენევის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი

V მუშათა მოძრაობის მთლიანობის საკითხი.

რანაირათ უნდა მოხდეს შეერთება ერთი დროშის ქვეშ მსოფლიო პროლეტარიატის და [illegible]—ამ საკითხმა დაიკავა ჟენევის კონგრესის მუშაობაში ცენტრალური ადგილი.

ამ საკითხის გადაჭრის ძირითადი ხაზები დაისახა უკვე კონგრესის მოწვევამდის, საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს სეკრეტარიატის სხვადასხვა სოციალისტურ პარტიებთან წინასწარ მიწერ-მოწერის დროს. ამის გამო სეკრეტარიატმა პირველსავე დღეს წარუდგინა კონგრესს განსაზღვრული გეგმა მოქმედებისა.

სეკრეტარიატმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ბიუროს ავტორიტეტი ვერ აღმოჩნდა საკმაოთ ძლიერი და მან ვერ შესძლო ინტერნაციონალის მთლიანობის ხელშეუხებლად შენარჩუნება, რომ ეს ბიურო აღარ არის უკვე ქვეყნის ყველა სოციალისტურ პარტიების—შეერთების ცენტრი.

მართალია, რას ნიშნავს გასვლა ინტერნაციონალიდან მთელ რიგ პარტიებისა, რომლებიც „რეკონსტრუქციის“ ნიადაგზე სდგანან? ეს არის უმთავრესათ პარტიები, რომლებსაც არ გაუწყვეტიათ იდეური კავშირი ძველ ინტერნაციონალთან, მაგრამ რომლებმაც უარჰყვეს მასთან ორგანიზაციული კავშირი, რადგანაც არა სჯეროდათ, რომ ბრიუსელის ბიუროს და იმის სეკრეტარიატს შეეძლოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობის აღდგენა.

თუ მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობის ინტერესებს—რამდენათ შეეფერება „რეკონსტრუქტორების“ ტაქტიკა, რამდენათ სამართლიანია მათი ბრძოლა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წინააღმდეგ—ეს კიდევ საკითხია. მაგრამ თვით იმ ფაქტიდან, რომ ბიუროს მიმართ პარტიების მთელმა რიგმა მტრული პოზიცია დაიჭირა, ინტერნაციონალის სეკრეტარიატმა შესძლო გაეკეთებინა სწორი დასკვნა—და მან განუცხადა კონგრესს.

„ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეგვეძლო იმისათვის, რომ მოვლაპარაკებოდით ჩვენგან წასულ პარტიებს, მაგრამ ჩვენი მაცადინეობა ვერ დამთავრდა დადებითი შედეგით. ჩვენ ისიც კი ვერ შევსძელით, რომ ამ პარტიებს გამოეგზავნათ აქ, ამ კონგრესზე თავისი წარმომადგენლები, რათა მათ თქვენთან ერთად ემსჯელათ შექმნილ მდგომარეობაზე. და ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს იმ იმედისა, რომ სეკრეტარიატის და „რეკონსტრუქტორების“ შემდეგი მოლაპარაკება უფრო ნაყოფიერი იქნება. მაგრამ სრულიად უარის თქმა შემდეგ მოლაპარაკებისაგან არ შეიძლება, რადგანაც ინტერნაციონალი ვერ იარსებებს, თუ არ იქნება შეთანხმება წასულ პარტიებთან. დე, ამ პარტიებთან მოლაპარაკება აიღოს თავის თავზე იმ ორგანიზაციამ, რომლის წინააღმდეგ არავინ არის გაბრაზებული, ორგანიზაციამ, რომელიც სარგებლობს ავტორიტეტით როგორც ჩვენს, ისე ჩვენი პოლიტიკის გამკიცხველ ამხანაგების თვალში!“

სეკრეტარიატმა წინადადება მისცა ინგლისის სექციას, რომ მან აწარმოოს მოლაპარაკება „რეკონსტრუქტორებთან“.

ამ წინადადების მიზანშეწონილობა ნათელი გახდება მაშინვე, რა წამს ჩვენ გადავავლებთ თვალს მუშათა მოძრაობას ინგლისში.

ინგლისის მუშათა მოძრაობა, უსათუოდ, უძლიერესია მთელ ქვეყანაზე, 6,000,000 შეკავშირებული მუშა—აი ის ძალა, რომელიც ინგლისში სოციალისტურ დროშის ქვეშ სდგას.

და არა მარტო **რაოდენობით,** არამედ **თვისებითაც** მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინგლისის რაზმი წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ ძალას.

ინგლისის მუშათა კავშირებს აქვთ თითქმის ასი წლის ბრძოლის და მუშაობის გამოცდილება. მათ არა მარტო შრომის უფრო უკეთესი პირობებისათვის შეუძლიათ ბრძოლა, არამედ მათ შეუძლიათ წარმოების ხელმძღვანელობაც, იმათ რიგებში არის ასობით ხალხი, რომლებსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, რომელთაც შეუძლიათ გარემოებებში გარკვევა, იციან, საითკენ მიდიან და როგორ უნდა მიაწიონ დასახულ მიზანს.

შესაძლებელია ინგლისი ეხლ ერთადერთი ქვეყანა იყვეს, სადაც პროლეტარიატმა უკვე შესძლო თავის რიგებიდან ხელმძღვანელ ლიდერების საკმაო კადრების გამოყოფა.

ინგლისის მუშათა მოძრაობის მეორე თავისებურება—განსაკუთრებული შეკავშირებაა მასებისა თავის ორგანიზაციების ირგვლივ, ეს არ არის ფუყე ორგანიზაციები, რომლებიც ხან ძლიერდებიან და ხან სუსტდებიან მიხედვით იმისა, თუ როგორი არის სულიერი განწყობილება „[illegible]“ (როგორც მაგ. საფრანგეთში და იტალიაში) ეს არის „იაჩეიკები“, რომლებიც ყოველ წლივ იზრდება ისე, როგორც იზრდება უზარმაზარი მუხა ჭალაში. ეს არის ჭეშმარიტი შრომის არმია, რომელიც ემორჩილება სასტიკ დისციპლინას, ბრძოლებში გამობრძმედილია, რომელსაც სჯერა თავის მეთაურებისა და არ ეშინიან არც გაჭირვების და არც ხიფათის.

ინგლისელის ხასიათის თვისებაა, რომ თავისუფლათ გამოათქმევინოს სხვას აზრი. ამის გამო ინგლისის მოძრაობამ შესძლო თავის რიგებში შეერთებინა ყველა მიმართულებები, რომლებიც კი არსებობენ ევროპის მუშათა შორის, და ამასთანავე შეეერთა ისინი ისე, რომ სხვადასხვა მიმართულებების წარმომადგენელნი მუშაობენ ერთად, ერთ ორგანიზაციაში. მაგ. ჟენევის კონგრესზე, ინგლისის დელეგაციაში შედიოდნენ: სიდნეი ვებბი, (ის თავის სულიერ განწყობილებით უფრო სოციალისტ-რეფორმისტებს უახლოვდება.), მაკლინი (რომელსაც რუსეთის ბოლშევიკები თავის მოციქულათ სთვლიან ინგლისში), ტომას შოუ (ძველი მუშა, რომელსაც ბოლშევიკურმა პრესამ „გამცემი“ დაარქვა, რაკი ის აღშფოთდა „ჩეკას“ [illegible]).

ბოლოს ინგლისის მუშათა მოძრაობას დაეტყო ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის თავისებურობა. ინგლისს აქამდის ეჭირა პირველი ადგილი ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეს არის ქვეყანა, რომელმაც მიაწია ეკონომიურ სიმწიფის უმაღლეს საფეხურს, რომელიც საუკეთესოთ არის მომზადებული სოციალისტურ წარმოებისათვის, ამიტომ არავინ არის ევროპის მუშებში ინგლისელებზე უფრო უკეთ მომზადებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გამგებლობის საქმეში დასაჭერათ.

ამნაირი იყო ის მოსაზრებები, რომლების მხედველობაში მიღების შემდეგ კონგრესმა მიანდო ინგლისელებს „რეკონსტრუქტორებთან“ მოლაპარაკება და მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიების შესაერთებლათ მუშაობის წარმოება.

მაგრამ საკითხის ამ გადაწყვეტას ჰქონდა უხერხული მხარეებიც. უნდა ითქვას უარი ყველა იმ ცხად უპირატესობებზე, რომლებსაც იძლეოდა საერთაშორისო ბიუროს არსებობა ისეთ პატარა, ნეიტრალურ ქვეყანაში—როგორიც იყო ბელგია.

მეორე მხრივ ინგლისელებს ეტყობოდათ ერთგვარი თავის დაჭერა იმ წინადადების მიმართ, რომელიც მათ მისცა ძველმა სეკრეტარიატმა.

ისინი ამბობდნენ: „ჩვენი მუშათა მოძრაობა მთლიანია. ჩვენ არ ვიცით, რა არის განხეთქილება და სწორედ ეს არის ჩვენი სიძლიერე, და ჩვენ გვსურს არ ჩავარდეთ იმნაირ მდგომარეობაში, რომელსაც შეუძლიათ გამოიწვიოს ჩვენს რიგებში კამათი და განხეთქილებაო“.

ბოლოს, კომისიაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყველა დელეგაციები შეთანხმდნენ საკითხის შემდეგ ნაირათ გადაწყვეტაზე.

„იმისათვის, რომ გამოირკვეს სოციალიზმის ყველა ძალების შეერთებულ ინტერნაციონალის შექმნის შესაძლებლობა, კონგრესი სთხოვს ინგლისის სექციას აიღოს თავის თავზე მოლაპარაკების წარმოების საქმე და პასუხისმგებლობა; დაიჭიროს კავშირი მუშათა და სოციალისტურ ორგანიზაციებთან იმ ქვეყნებში, რომლებსაც არა ჰყავდათ თავისი წარმომადგენლობა ჟენევაში, და გადადგას შესაფერისი ნაბიჯები, რათა მიაღწიოს იმათ შემოერთებას კონგრესის რეზოლიუციების მიხედვით.

„კონგრესი იღებს ლიუცერნის კონფერენციის მიერ გამომუშავებულ საორგანიზაციო სტატუტს“.

„კონგრესი გამოსთქვამს სურვილს, რომ სეკრეტარიატი ლონდონში იქნეს გადატანილი. სეკრეტარიატში იქნება სამი წევრი, რომელთაგანაც ორი იქნება ინგლისის სექციის წარმომადგენელი.

„ინგლისის მუშათა და სოციალისტურ ორგანიზაციათა მიერ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდის—სეკრეტარიატი ბრიუსელში დარჩება, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტი რეგულიარულათ შეიკრიბება ლონდონში“.

ამგვარათ, ინტერნაციონალის ცენტრის ლონდონში გადატანის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია ინგლისის მუშათა და სოციალისტურ ხელმძღვანელ ორგანიზაციების თანხმობისაგან. რომ ამაზე ორგანიზაციები დასთანხმდებიან—ეს უეჭველია. მაგრამ მნიშვნელოვანია ის პრინციპი, რომელიც მიიღო კონგრესმა ინგლისის დელეგაციის სურვილით: მნიშვნელოვანია ის, რომ სეკრეტარიატის გადატანა მოხდება არა მარტო მცირერიცხოვან და არა სრულ ჟენევის კონგრესის კენჭის ყრის გამო, არამედ ეს მოხდება თანახმად გადაწყვეტილებისა ინგლისის პროლეტარიატის, რომელიც დაკვირვებით ადევნებს შემდეგში თვალ ყურს „რეკონსტრუქტორებთან“ მოლაპარაკების მსვლელობას.

კონგრესზე ინგლისის დელეგაციის წარმომადგენლების განცხადებიდან გამოირკვა ის, თუ როგორ ესმით მათ მომავალ მოლაპარაკების ხასიათი.

„ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ერქმევა ახალ ინტერნაციონალს: მე-2-ე ინტერნაციონალი, მე-3, მე-4-ე, მე-24 ე—სახელში ხომ არ არის საქმე. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს იყოს ნამდვილი **ინტერნაციონალი,** რომ იმაში შევიდნენ მსოფლიო პროლეტარიატის ყველა რაზმები და კიდევ საჭიროა, რომ ის იყოს ჭეშმარიტათ **სოციალისტური** ინტერნაციონალი, რომ მას მიჰყავდეს სოციალიზმისაკენ მთელი ქვეყნის მუშები ერთად-ერთ სწორი გზით—**დემოკრატიის გზით**“.

ამნაირათ ინგლისელები თანახმანი არიან იმისა, რომ ფორმალურათ ბევრი დაუთმოს „რეკონსტრუქტორებს“. ისინი არ მოითხოვენ დაჟინებით, რომ მეორე ინტერნაციონალიდან გამოსულ პარტიებმა და ჯგუფებმა უარი სთქვან თავის გადაწყვეტილებებზე, რომ ისინი **დაბრუნდნენ** მათ მიერ დატოვებულ ორგანიზაციაში. ისინი მზათ არიან „რეკონსტრუქტორებთან“ ერთად ააგონ ახალი ორგანიზაცია. მაგრამ—არავითარი დათმობა ბოლშევიკურ დემაგოგიას! არავითარი განდევნა ვისიმე ამ ორგანიზაციიდან! არავითარი გადახვევა სოციალიზმისათვის დემოკრატიული ბრძოლის გზიდან.

როდესაც კომისიის წინადადება ინტერნაციონალის აღდგენათ მუშაობის ინგლისელებზე გადაცემის შესახებ მიღებული იქმნა—მაშინ აიღო სიტყვა ემილ ვანდერველდემ.

მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „ამიერიდან არის ორი ცენტრი—ლონდონი და მოსკოვი. ერთი მხრივ ქვეყანაზე უძლიერესი და უძველესი მუშათა მოძრაობა. მეორე მხრივ—განადგურებული წარმოება, უმუშევრების ბრბოები, რომლებიც მიდიან ჯარში, რათა სიმშილით არ დაიხოცნენ და უნებურათ ამაგრებენ თავის ხიშტებით უმცირესობის ბატონობას მორჩილ, პასიურ ხალხის მასებზე.

— ლონდონი ან მოსკოვი! დემოკრატია ან დიქტატურა! მოძრაობა წინ ან და ბარბაროსობასთან დაბრუნება! დე, ამოარჩიონ იმ ამხანაგებმა, რომლებიც ჩვენთან ერთად მიისწრაფიან ინტერნაციონალის შექმნისაკენ, მაგრამ რომლებიც დაგვშორდნენ ჩვენ საშუალებების და გზების არჩევნის შემდეგ“.

ვანდერველდეს სიტყვამ, წარმოთქმულმა მისთვის ჩვეულებრივი პათოსით, დამსწრეებზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა.

კონგრესის მიერ არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტში (ბიუროში) შედის ცხრა კაცი:

კომიტეტის თავმჯდომარე—გენდერსონი (ინგლისი),
ხაზინადარი—ტომასი (ინგლისი).
მდივანი—გიუისმანსი (ბელგია).
წევრები: ველსი (გერმანია), ბრანტინგი (შვეცია) *), ტროელსტრა (ჰოლანდია), მაკდონალდი (ინგლისი), ვანდერველდე (ბელგია) **).

მეცხრე ადგილი დაუტოვეს საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას და ის შევსებული იქნება შემდეგ.

გააძლიერა რა ინგლისელების წარმომადგენლობა აღმასრულებელ კომიტეტში, კონგრესმა ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ განსაკუთრებულ როლს, რომელიც უნდა ითამაშოს ინტერნაციონალის აღდგენაში ინგლისის პროლეტარიატმა.

ვლ. ვოიტინსკი.

---

*) მისი მოადგილე—სტაუნინგი (დანია).

**) მისი მოადგილე—დე-ბრუკერი (ბელგია).

დენ ხანსაც ისინი სარგებლობდენ ხაზინის დახმარებით. მიწათ მოქმედების მინისტრს უფლება აქვს განთავისუფლოს ამ მოვალეობისაგან ზოგიერთი პირი, თუ მისი სამსახური არ ესაჭიროება სამინისტროს.

სასწავლებელში გადიან ქართულ ენაზე შემდეგ საერთო საგნებს: მცენარეთა სისტემატიკას, მორფოლოგიას, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას, ენტომოლოგიითურთ, ცხოველთა ფიზიოლოგიას, არა ორგანულ, ორგანიულ და ანალიტიურ ქიმიას, ფიზიკას, მეხანიკას, მეტეოროლოგიას, მინერალოგიას, გეოლოგიას, გეოდეზიას, ხაზვას და ხატვას, საზოგადო მიწათ-მოქმედებას, საზოგადო ზოოტეხნიკას, სასოფლო მეურნეობის ჰიდრავლიკას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას და ანგარიშს, კანონთმეტყველებას და ერთ-ერთ უცხო ენას.

მემინდვრეობის განყოფილება: კერძო მემცენარეობა, სასოფლო-მეურნ. ქიმია, ფიტოპატალოგია, სასოფლო სამ. იარაღები და მანქანები, სასოფლო სამეურ. ტეხნოლოგია, სელექცია.

მებაღეობის განყოფილება. მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მეყვავილეობა, ძვირფას მცენარეთა კულტურა, ღვინის სარდაფის მეურნეობა, ხილისა და ბოსტნეულობის ტეხნიკურათ გადამუშავება.

მესაქონლეობის განყოფილება: კერძო მესაქონლეობა, ფრინველთ გაშენება, მეაბრეშუმობა, თევზის გაშენება, მერძეობა, ბეთლობა, ასისტენტთა კანტროლი.

გარდა ზემო აღნიშნული თეორიულ მეცადინეობისა სკოლაში სწარმოებს სამოსწავლო დემონსტრატიული მეცადინეობა და პრაქტიკული მუშაობა ზამთრობით 13 საათი და ზაფხულობით 48 საათი კვირაში ყოველ კლასში, გარდა მეოთხისა.

უკანასკნელში თეორეტიული მეცადინეობა სრულიად არ სწარმოებს და მთელი დრო ხმარდება დემონსტრატიულ მეცადინეობას და პრაქტიკულ მუშაობას.

მოწაფეები, რომლებიც კარგათ დაამთავრებენ სწავლას, ღებულობენ აგრონომიულ მოწმობას იმ სპეციალობაში, რომელიც მათ გავლილი აქვთ და შეიძლება დანიშნულ იქნენ: სასოფლო მეურნეობის ფერმის, საცდელ და საჩვენებელ მინდვრის გამგეთ, მასწავლებლის თანაშემწეთ, საშუალო სკოლის ლაბორანტათ და აღმზრდელათ, აგრეთვე დაბალ სკოლების მასწავლებლათ, ინსტრუქტორათ და სხვა.

სასოფლო მეურნეობის სკოლების მასწავლებლები და აღმზრდელნი სარგებლობენ პენსიისა და ხუთწლეული დამატებით ისეთივე უფლებით, როგორც განათლების სამინისტროს მოხელენი.

როგორც ზემო აღნიშნულიდან სჩანს, მიზანი ფრიად სიმპატიური და დიდი აქვს დასახული საშუალო სამეურნეო სასწავლებელს და ჩვენც ვუსურვოთ, რომ მას გაემართლებინოს ის იმედები, რომელთაც ამყარებს მასზე ჩვენი მიწათმოქმედების სამინისტრო, რომ ის გამხდარიყოს გაჩირაღდნებულ ლამპრათ, სინათლის სხივის შემტანათ ჩვენს ბნელეთით მოცულ სასოფლო მეურნეობაში და გზის მაჩვენებლათ ამ დარგში უკეთესი მომავლისაკენ.

ერთი მეურნეთაგანი.

ერობა და ქალაქი

მიმართვა სამაზრო ერობებისადმი.

ერობათა კავშირის კომიტეტმა სამაზრო ერობებს შემდეგი წერილით მიმართა: დიდი შრომა და ენერგია იყო საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებია. საუკეთესო შვილების დაუღალავი მოღვაწეობა გამარჯვებით დაგვირგვინდა. საქართველომ მიაღწია დამოუკიდებლობის ცნობას. მაგრამ მთელი ეს შრომა დაკარგული იქნება, პოლიტიკური დამოუკიდებლობას არ ექნება დიდი ღირებულება, თუ რესპუბლიკა ეკონომიურათ არ აღორძინდა. ამიტომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ, ყველა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საქმეში. მსოფლიო კრიზისმა ევროპის სახელმწიფოებში მძიმე მდგომარეობა შექმნა. ეკონომიური სისუსტე და სურსათ-სანოვაგის ნაკლულოვანება ავადმყოფურ გავლენას ახდენს, ეკონომიურ მდგომარეობაზე. ბუნებრივია, რომ საქართველო დიდ გაჭირვებას განიცდის. მაგრამ რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეს და მისი ინტენსიურ დამუშავებას შეუძლია რესპუბლიკა გამოიყვანოს მძიმე მდგომარეობიდან. სასურსათო კრიზისი ერთ უმწვავეს საკითხს შეადგენს რესპუბლიკისათვის, მაგრამ რესპუბლიკის ბედნიერება იმაშია, რომ მას აქვს მდიდარი და მოსავლიანი ადგილები. საჭიროა ამ ადგილების დამუშავება. არც ერთი ნაჭერი მიწისა არ უნდა დარჩეს დაუთესავი, ამით ჩვენ შევძლებთ რესპუბლიკის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის განმტკიცებას. საჭიროა სათესი მასალის და მანქანების შეძენა. ერობები უნდა დაეხმაროს ხალხს და მისცეს ყველაფერი, რისი მიცემაც კი შეუძლია მას. (დ.ს.)

ქალაქის საბჭოში

სექტემბრის 13 ქალაქის საბჭომ შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა: 1) დამტკიცებულ იქნას 25 ნახ. მილიონ მანეთის ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც დაიხარჯა ივნისსა და ივლისში მოსამსახურეთათვის ერთდროულ დახმარების სახით, 2) გადაიდვას პ. ლომთათიძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის 25 ათასი მანეთი, 3) სატარიფო პალატის მომატება აგვისტოს 1 დან ყველა მოსამსახურეებისა და მუშების ჯამაგირზე გავრცელდეს, 4) დამტკიცდეს გამგეობის მოხსენება ალექსანდროვის საავადმყოფოდან სტუდენტების პრაქტიკულ მეცადინეობის საჭიროებისათვის ქირურგიულ და ტერაპევტიულ კლინიკის გახსნის შესახებ, 5) დამტკიცდეს ფუნიკულიორის აღსადგენათ 900,000 მანეთის ხარჯი, 6) მიღებულ იქნეს ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის მოძრავი და უძრავი ქონება.

ს.-დ. პარტიაში

საჩხერის რაიონი.

დ. საჩხერეში თანახმად ს. დ. რაიონულ კოლექტივის დადგენილებისა ეწყობა სამეცადინო წრე, რომლის ხელმძღვანელი იქნება რაიონის პროპაგანდისტი პუმბურიძე. მეცადინეობის დღეთ არის დანიშნული პარასკევი საღამოს 5 საათიდან. პროპაგანდისტის მიერ წაკითხული და განმარტებული იქნება სხვადასხვა პარტიების პროგრამა და აგრეთვე იქნება განმარტებული ჩვენი პარტიის პროგრამა და ისტორია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც საერთოდ რაიონში, ისე ადგილობრივ პარტიულ ამხანაგებში ბლომათ ვრცელდება სხვადასხვა პარტიული წიგნაკები.

სამწუხაროთ, აღსანიშნავია ის, რომ ჩვენში ვერ არის მოწყობილი საქმე გაზეთების გავრცელების, სასურველია ეს საქმეც მოეწყოს.

ს. კალაუთა. ჩვენს რაიონში, თითქმის ყოველ სოფელში ეწყობა ქვე-კოლექტივები. 3 სექტემბერს შესდგა აღნიშნული ქვე კოლექტივის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გიორგი გუგუნავა.

პირველად მოხსენებას აკეთებს ამხ. სანდრო ლომიძე, რომელიც ლაპარაკობს პარტიული მუშაობის გაცხოველებაზე და სხვ. შემდეგ საერთო შინაურ და საგარეო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს შ. გოდაბრელიძე.

კრებამ დაადგინა, რომ იქნეს შეკრებილი პარტიული გადასახადი რაც შეიძლება დაჩქარებით. კრებამ იქონია მსჯელობა აგრეთვე კრებების დანიშვნის შესახებ და დაადგინა: კრებები იქნეს დანიშნული ყველ პარასკევს, ორ კვირაში ერთხელ საღამოს 7 საათზე.

შალიკო ხვადაბუნელი.

მუშათა შორის

ფოთის ნავთსადგურის მუშების შესახებ.

ნავთსადგურში მუშაობა მჭიდროთ დაკავშირებულია რკინის გზის და საბაჟოს მუშა-მოსამსახურეთა მუშაობასთან, ამისათვის მუშაობის დაწყება გათავებაც შეთანხმებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროთ, ამდენხანს ეს ასე არ ხდებოდა. მაშინ, როცა ნავთსადგურის მუშები სამუშაოთ გამოდიოდნენ დილის 7 საათზე და, შუადღისას ორ საათის დასვენებით, მუშაობდნენ საღამოს 5 საათამდე, რკინის გზის და საბაჟოს მუშა-მოსამსახურენი მუშაობას იწყებდნენ დილის 8—9 ს. ამ მიზეზის გამო ნავთსადგურის და მტვირთავ მუშებს უხდებოდათ უნაყოფოთ დროს დაკარგვა საქონლით დატვირთულ ვაგონების ლოდინში და ვაგონებიც მთელი საათობით უმოძრაოდ იდგნენ. ამით მცირდებოდა შრომის ნაყოფიერება და რესპუბლიკასაც დიდი ზარალი მოსდიოდა, მეტადრე ეხლა, როცა საქონლის ვაგონების რიცხვი საკმაო არ არის და თვითეული ვაგონი მოუცდენლათ უნდა ემსახურებოდეს თავის დანიშნულებას.

ფოთის ნავთსადგურის ყველა დარგის მუშა მოსამსახურეთა მიერ მუშაობის ერთსა და იმავე დროს დაწყების შესახებ საკითხი აღძრული იყო მთავრობაში. მთავრობამ შრომის სამინისტროს მიანდო გზათა დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს, შავი ქვის მრეწველების და ფოთის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან ერთად ამ საქმის მოწესრიგება.

ხსენებულ წარმომადგენლების სხდომები შესდგა 8—10 სექტემბერს შრომის სამინისტროს წარმომადგენელის ლ. ელბაქიძის თავმჯდომარეობით.

თათბირმა გამოიმუშავა შემდეგი სავალდებულო წესი მუშაობისა: ფოთის ნავთსადგურის დამტვირთველი მუშები, საბაჟოს მუშა-მოსამსახურენი და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ის ნაწილი, რომელსაც პირდაპირი კავშირი და დამოკიდებულება აქვს დამტვირთველ მუშების საქმესთან, ა. წ. პირველ ოქტომბრიდან მუშაობას იწყებენ: ზაფხულში დილის 6 საათზე და ათავებენ ნაშუადღევის 4 საათზე; სასადილოთ ეძლევათ ორი საათი დასვენება 11—1 საათამდე.

ზამთარში მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის შვიდ საათზე და თავდებოდეს საღამოს 5 საათზე; დასასვენებლათ და სასადილოთ მუშაობა უნდა სწყდებოდეს 12—2 საათამდე.

ზაფხულათ იგულისხმება დრო 1 მარტიდან 1 ოქტომბრ.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებით თავიდან ავიცდენთ ყველა იმ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფოთის მუშებში ამ კითხვის გარშემო და შრომის ნაყოფიერებაც აიწევს, რაც, ეჭვს გარეშეა, სარგებლობას მისცემს ჩვენს რესპუბლიკას.

სასურველია სხვა სამრეწველო ცენტრებშიც დაწესდეს ასეთი შეთანხმებული მუშაობა, სადაც ამას საქმის ინტერესი მოითხოვს.

მ—ე.

პროვინცია

ს. ურიათუბანი, (თელავის მაზრა). სოფელ ურიათუბანში 700 კომლზე მეტი მცხოვრებია. აქ მეტად მშრომელი ხალხია, მიუხედავათ მევენახეობისა ყველამ ხელი მოჰკიდა ხვნა-თესვას და დიდი ჭირნახული მოჰყავთ. მაგრამ ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია კულტურა-განათლების მხრით.

სოფლათ ინტელიგენცია მრავლათ მოიპოვება, მაგრამ ხალხისთვის გამოუსადეგარია, არავითარი მუშაობა არ სწარმოებს ამ სოფლის საკეთილდღეოთ.

აქ არსებობდა სამკითხველო და მასთან კოოპერატივი. თუმც კოოპერატივი დღესაც არსებობს, მაგრამ მისი საქმე უკან მიდის. სამკითხველო დიდი ხანია დაკეტილია. დიდ დანაკლისს სოფლისთვის წარმოადგენს წყალი, მართალია, — მდინარეებიდან გამოყვანილია ორი არხი, მაგრამ ეს წყალი ძალიან უსუფთაოა. სოფლის თავში არსებობს ისეთი წყაროები, რომლის გამოყვანასაც ადვილათ შესძლებს სოფელი. საჭიროა თემის გამგეობამ ყველა ამას ყურადღება მიაქციოს.

ნიკო წ—ლი.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

ქუთაისი
ექიმი
გ. ი. გოკიელოვი

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება. **ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეთი.** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავადმყოფთათვის. ერთობის (ალექსანდრეს) ქუჩა საკუთ. სახლი. (3013—2—1)

დავკარგე

13 აგვისტოს სასტ. „ორიანტის“ და აზოვო-დონის ბანკის რაიონში საღამოს 4—5 საათამდე

ოქროს ძეწკვი 3 თვლით

მნახველს ვსთხოვთ მოგვიტანოს სასტ. „ორიანტში“ № 58. **სასუქრათ მიიღებს 5000 მან. და მეტს.**

დავკარგე

ატესტატი ქიათურის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელში კურს დამთავრების № 217. ჩაითვალოს გაუქმებულათ. დომენტი ხიხაძე. (3024—1—1)

განცხადება

სკოლების უფროსთ, მასწავლებელთ. ერობათ, გამგეობათ, თემებს და სხ.

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის გამოცემანი

უკვე გასასყიდათ გამოვიდა შემდეგი წიგნები:

1) **ნოე ჟორდანია**—თხზულებანი 1 და 2 ტომი, თითო 110 მ.
2) **ყარიბი**—„წითელი წიგნი“ რუსულ ენაზე,—120 მ.
3) **პროფ. ხვ. ავალიანი**—მსოფლიო ისტორია. ახალი საუკ.—120 მ.
4) **ივ. ელიაშვილი**—დედა-ბუნების ძირითადი კანონები—20 მ.
5) **ალ. წერეთელი**—მსოფლიო ისტორია დაწყებითი კურსი 1 ნაწ. 100 მ.
6) **მისივე.** მსოფ. ისტ. 2 ნაწ.—120 მ.
7) **ხეით იაშვილი**—ბოტანიკა 1 ნაწ—70 მ.

ხელის მომწერთათვის უკვე გამოვიდა: **ნ. ჟორდანია**—თხზულებანი III ტომი. ხელის მომწერთ შეუძლიათ სტამბის კონტორაში მიიღონ.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა:

1) **ივ. ელიაშვილი**—ბუნების სარკე 1 ნაწ.
2) **ალ. წერეთელი**—მსოფლ. ისტ. დაწყ კურსი 3 ნაწ.
3) **ხეით იაშვილი**—ევროპა (გეოგრაფია).
4) **იაკობ ზედგინიძე**—Методическая христоматия 2 და 3 ნაწ.
5) **მისივე.** ქართული ან-ბანი (დედა ენის მაგიერ)
6) **ა. ჩხენკელი**—ბუნება, მიწა, წყალი, ჰაერი.
7) **ს. დათეშიძე**—არითმეტიკული ამოცანათა კრებული. მთელი რიცხვები, გიმნაზიის 1 კლ. კურსი.
8) **კრაევიჩი**—ფიზიკა, თარგ. სვანიძისა.
9) **პროფ. ხვ. ავალიანი**—მსოფლიო ისტორია მე-19-ე და 20 საუკ. დასაწ.

ყველა სახელმძღვანელო მოწონებული და ნება-დართულია სკოლებში სახმარებლად განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტის მიერ.

წიგნების შეძენა შეიძლება ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბაში (თფილისი, რუსთაველის პრ. № 26). ვინც ბითუმად შეიძენს: 1) 100 ცალზე არა ნაკლებს, დაეთმობა—20 % დაკლებით; 2) 50 ცალზე არა ნაკლებს—10 % დაკლებით; 3) საკომისიოდ მიღების მსურველთ მიმართონ გამომცემლობას ზემორე ნაჩვენებ მისამართით.

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა.
(3023—2—1)

საქართველოს რესპუბლიკის
ერობათა კავშირის კომიტეტი

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ 1) ზინობი ზაქარიას ძე **კალანდარიშვილი,** 2) ანდრია დიმიტრის ძე **ხოფერია** და 3) ნიკოლოზ ლუკას ძე **ლატარია** კომიტეტის რწმუნებულებისა და საკომერციო აგენტების თანამდებობიდან **გადაყენებული არიან,**—და არც ერთი ხელშეკრულება, ან ვალდებულება, დღეიდან მათ მიერ გაცემული, ან შეკრულებული, კანონიერი არ იქნება.

(ნ. 2—1) **ეროკავშირის კომიტეტი.**

ახალციხის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში,—მაზრაში ადგილების დასაკავებლად:

ექიმებს, ექიმების თანაშემწეს,
ფარმაცევტებს და ბებია ქალებს

ფერშლებს სამსახურის პირობები: ექიმებს 13500 მან. ფარმაცევტებს, ბებია ქალებს, ექიმების თანაშემწეებს, 6726 მან. თვეში. თხოვნები „კურიკულუმვიტე“ უნდა იყოს მიცემული ერობის გამგეობის სახელზედ არა უგვიანეს 25 ენკენისთვეს ამა 1920 წლის.

ერობის **გამგეობა.** (3042—3—1)

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან თფილისის ცენტრალურ შენობაში (პლეხანოვის პროსპ.) გაიხსნა

ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც სექტემბრის დამლევამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწყობებით: 1) განათლების არა ნაკლებ უმაღლეს პირვ. დაწყებითი სასწავლებლის მთელი კურსისა(, 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმებისაგან) 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსებზე და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისთანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში. (ნ. 3—2)

ე. კლარი'ს ფოტოგრაფია

სწრაფათ ამზადებს **ქართველი და საზღვარ-გარეთელი პოლიტიკურ მოღვაწეების** სურათებს (მარქსი, ენგელსი, ვანდერველდე, ლიბკნეხტი და სხვ.) აქვს ორიგინალები ყველა ქართველი მოღვაწეების სურათებისა, აფრთხილებს მყიდველებს შეცდომით არ იყიდონ მის მიერ გადაღებული სურათების კოპიოები, რომელიც იყიდება სხვა და სხვა ადგილას.

მისამართი: სასახლის ქ. № 5 (ქართულ კლუბთან) ზემო სართული. (3012—2—2)

ხაშურში 16 ენკენისთვეს, ჭიათურაში 17 და 18, ქუთაისში 19, ხონში 20, სამტრედიაში 21, ახალ სენაკში 22, ფოთში 23 და ოზურგეთში 25 სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ-განმანათლ. განყოფილების ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება

გრანდიოზული საღამო-სეირნობა

შემდეგი პროგრამით:

I. **მოხსენება: სახალხო გვარდიის მიზნები კულტურა-განათლების სფეროში.**

II. **თავისუფლების გარიჟრაჟზე.**
დრამა ერთ სურათად ნ. გერგესულისა.
მ ა თ ი კ ო
მე-4 მოქმ. კომედია ა. ცაგარლისა.

წარმოდგენები დაიდგმის საგანგებო ბათალიონის კულტ. განმან. სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მიერ. მონაწილეობენ ქ ნნი: ნინონი, ქართველიშვილი, მინდელი: ბ-ნნი: აბდუშელი, გომართელი, კრავეიშვილი, მინდიაშვილი, ლეკიშვილი, ილიკო ჯულელი და სხვ.

III. **გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე** და სხვა მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწერებს.

სალამოზე: აუქციონი, პტი-შვო, ფოსტა, ყვავილთა შეჯიბრება, კრუშონი, აზიური კიოსკი, აღმოსავლეთის კუთხე, დიდი ვახშამი გათენებამდე, ცეკვა-თამაში და სხვ. დაუკრავს სახალხო გვარდიის ორკესტრი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

(ნ. 5—2)

ბორჯომის ქალაქის გამგეობა

იწვევს უმაღლეს და პირველ დაწყებითი სასწავლებელთათვის გალობის ხელ-საქმის, ხელ-გარჯილობის, ხატვის და ფიზიკური ვარჯიშობის მასწავლებლებს. მასწავლებლები მიიღებენ შტატის ჯამაგირს კანონით დაწესებულ დამატებებით, თხოვნები და საბუთები სასწრაფოთ უნდა გადმოიგზავნოს ბორჯომში ქალაქის გამგეობაში.

(ნ. 3—2) **ქალაქის გამგეობა.**

თფილისის ქალაქის მილიციის მე-13-ე უბნის კომისარი
ამით აცხადებს

რომ 19 ამა ენკენისთვეს დღით კვირას, 12 საათზე, კომისარიატის შენობის წინ გაიყიდება შეჯიბრებით ნაპოვნი ცხენი. საქ. სამხ. გზა საბურთალო სახლი გაბაშვილისა. (3007—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი დავით ანტონის ძე ფირცხალაიშვილი და უდროოდ დაობლებული შვილი მისი ვენერა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს რომ შაბათს ამა წლის 18 ენკენისთვეს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის

ელისო ივანეს ასული ფირცხალაიშვილისა

მოსახსენებელი პანაშვიდი გადახდილ იქნება სოფ. ქვიანში (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათზე. (3001—1—1)

ღრმათ დამწუხრებული მამა პანტელიმონ თარხანის ძე და დედა ოქროპირის ძე ცინცაძე, დაი თამარა, სიძე ალექსანდრე თაყ. ძაძამაია, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ და ამხანაგებს უდროვოთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას

კოლია პანტელიმონის ძე ცინცაძისას

რომლის დაკრძალვა მოხდა ქ. ლანჩხუთში (გურია) ხუთშაბათს 16 სექტემბერს 12 საათზე. (8019—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვასო ივანეს ძე როყუა და შვილი ზინა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 18 ენკენისთვეს ქ. ფოთში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

ანუშა ნოეს ასული როყუასი

(3022—2—1)

შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს გვარდიელის

პოლიკარპე (კოლია) ზოსიმეს ძე კეთილაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება შაბათს 18 ენკენისთვეს ქ. ზესტაფონში ნაშუადღევის 3 საათზე. (3026—1—1)

ს. ს. დ. მ. პ. ქ ზესტაფონის კოლექტივი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს კოლექტივის წევრის და დაუღალავი მუშაკის ამხანაგ

პოლიკარპე (კოლია) ზოსიმეს ძე კეთილაძის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღით შაბათს 18 ენკენისთვეს ქ. ზესტაფონში ნაშუადღევის 3 საათ. (3026—1—1)

ღრმათ დამწუხრებული ქრისტეფორე: მეუღლე ბარბალე, შვილები: ვალოდია, სერიოჟა, გიორგი და აკაკი; მამა ზოსიმე და ძმა ამბაკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას

პოლიკარპე (კოლია) ზოსიმეს ძე კეთილაძისას

დასაფლავება მოხდება შაბათს 18 ენკენისთვეს ქ. ზესტაფონში ნაშუადღევის 3 საათზე. (3026—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დეკანოზი ალექსანდრე ზაქარიას ძე და გაიანე ანდრიას ასული ტატუნაშვილები, რძალი მათი ანნა ალექსანდრეს ასული, დები ეკატერინე, თამარა და სოფიო, ძმა შაქრო სიძეები პოლკოვნიკი ვასილი ლიაშჩენკო და როტმისტრი მოდესტო (გოგი) ნიკოლაევი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 9 აგვისტოს ბაქოში გარდაიცვალა პირველების ძვირფასი და და დაუვიწყარი შვილი, მეორესი ქმარი, მესამეებისა და მეოთხეების ძმა და ცოლის ძმა ინჟინერ-მეხანიკი

ლეონიდი (ლევან) ალექსანდრეს ძე ტატუნაშვილი

ორმოცის დღის წირვა გადახდილ იქნება 19 სექტემბერს დუშეთში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (3029—1—1

ცოლი ლიზა, ვაჟიშვილი გოგილო, ქალიშვილი მარია მარგველაშვილისა, სიძე მირიან მარგველაშვილი, ქალიშვილი ნატალია, რძალი მარუსა და შვილის შვილი ვახტანგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ შაბათს 18 ენკენისთვეს იქმნება გადახდილი ორმოცი დღის პანაშვიდი საფიჩხიის სასაფლაოზე გარდაცვალებულის

ზაქარია გიორგის ძე დოლიძის

(3030—1—1)

დედა მარო სოლომონის ასული, მამა ბესარიონ მიხეილის ძე, დები ნინა და ეთერი, ბებია ტერეზია, ბიცოლა ვერა, მამიდა ფედოსი, ბიძია მელქისედეკ (მიშა) და ბიძაშვილი გიორგი ცაგურიები. ბებია ბარბალე, ბაბუა სოლომონი, დეიდები: ნინა, სონია და ანეტა, ბიცოლა ნეონილა და ბიძია რომანოზ თევზაიები გულითადის მწუხარებით გაუწყებენ უდროვოთ გარდაცვალებას ძვირფასის და დაუვიწყარის პატარა

ნათელასი (არმინდასი)

რომელიც გარდაიცვალა 15 ენკენისთვეს დილის 4 საათზე.

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და შვილები თამარი და სოსიკო აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათთვის მარად დაუვიწყარის და სათაყვანებელის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე კვირას, 19 სექტემბერს, სოფ. ცხრუკვეთის ეკლესიაზე და თფილისში ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (3004 2—1)

დეკანოზი იოსებ ნიკოლოზის ძე წერეთელი და მეუღლე მისი ოლღა შვილებით და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათი დაუვიწყარი შვილის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე კვირას, 19 სექტემბერს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი სოფ. ცხრუკვეთის ეკლესიაში. (3009 1—1)

სოფრომ მარკოზის ძე ვარაზაშვილი და მეუღლე მისი მანიჟან შვილებით და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათი დაუვიწყარი რძლის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე კვირას, 19 სექტემბრს, თფილისში ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (3009 1—1)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი პლატონ ივანეს ძე ჩახნაშვილი თავისი პატარა შვილით ელენე (ცაციკო) პლატონის ასულით, დედმამით და დებით ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ რომ დღეს, 17 ენკენისთვეს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის უძვირფასესი და სამუდამოთ დაუვიწყარი ცოლის, მეორის უძვირფასესი დედის და დანარჩენთა ძვირფასი რძლის

მარიამ (მარუსა) იოსების ასული თუხარელი-ჩახნაშვილისა

მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. წინანდლის (კახეთი) წმინდა გიორგის ეკლესიაში. (3021 1—1)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.